ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1924 წლის ნოემბრის 15.	№ 7. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 226. ხალიჩების სალიცენზიო გამოსაღების შესახებ.

„ 227. საბაჟო ორგანოების მიერ კონფისკაციაქმნილი საკონტრაბანდო საქონლის რეალიზაციით შემოსული თანხების განაწილების წესის შესახებ.

„ 228. ნარდად-მომუშავეთა და გამყიდველ-მიმწოდებელთა მიერ სარეწავი გადასახადის გასტუმრების საქმის მომწესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ.

„ 229. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის დებულების შესახებ.

„ 230. ა/კ. ც. ა. კ-თან არსებული ამიერკავ. საშეფო საქმეთა საბჭოს გაუქმების შესახებ.

„ 231. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებათა განთავისუფლების შესახებ საშემოსავლო-ქონებრივი და სარეწავი გადასახადისა და საღერბო გამოსაღებისაგან.

„ 232. საბამბო მეურნეობისათვის 1924—1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების შემსუბუქების შესახებ.

„ 233. საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს საბაჟო გადასახადის დაბრუნების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 234. არყის ნაკეთობის ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

„ 235. სისხლის სამართლის მაძიებელ დაწესებულებაში სამუშაო დროისა და მორიგეობის განსაზღვრის შესახებ.

„ 236. ადგილობრივ საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

„ 237. ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა თაობაზე—გამოცემული დადგენილებისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ—აქციზდასადები საგნების საზღვარგარეთ გატანის დროს აქციზის მოხსნის თაობაზე—გამოცემული დადგენილების შესახებ.

„ 238. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათის შესახებ 1924 წ. მოუსავლობისაგან დაზარალებული ადგილების მოსახლეობისათვის.

„ 239. ა/კ. ს. ფ. ს. რ. საზღვრებში აბრეშუმის თესლის კერძო წარმოების შესახებ.

„ 240. ნებაყოფლობითი გამოსაღებისა და შეწირულების წარმოების წესის შესახებ.

„ 241. სახელმწიფო, კოოპერატიულ, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და სავაჭრო საწარმოთა პერსონალის რაოდენობისა და მისი შრომის ხელფასის აღნუსხვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 242. იმ კომუნალურ დაწესებულებათა ტარიფიკაციის შესახებ სოციალური დაზღვევის სფეროში, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე არ იმყოფეგიან.

„ 243. ამიერკავკასიის რკ.გზებზე კატასტროფებისა და სხვ. შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დაარსებული კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

„ 244. საბინაო კოოპერაციის შესახებ.

„ 245. საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის თაობაზე ა/კ. საბ. კომის. საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 246. სახელმწიფო და კოოპერატიულ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა სავაჭრო მოსამსახურეებისათვის, მწარმოებლებთან შეთანხმებით, შრომის სასყიდლის მიცემის შესახებ საწარმოთა წმინდა მოგების ბრუნვის პროცენტული ანარიცხის სახით.

„ 247. სარეწავი გადასახადის სფეროში შეღავათის გაწევის შესახებ ხელოსანთათვის და იმ საწარმოთათვის, რომელთაც შეგირდები ჰყავთ.

„ 248. ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მიღების დღის—ივლისის 6-ს—სადღესასწაულო დღედ აღიარების შესახებ.

„ 249. ასანთის აქციზის განაკვეთის შემცირების შესახებ.

„ 250. ვ. ი. ულიანოვი—ლენინის გარდაცვალების სამგლოვიარო დღის შესახებ.

„ 251. საწყობებში საქონლის დაცვის ხარჯების შემცირების შესახებ.

„ 252. ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან საუწყებათაშორისო საინდექსო კომისიის მოწყობის შესახებ.

„ 253. მიწისა და სახლების რენტის აღნუსხვისა და ამ რენტის განაკვეთის შემუშავების კომისიების შესახებ.

„ 254. სამუშაო ხელფასისათვის საბუჰალტრო ანგარიშგების დაწესების შესახებ.

„ 255. უცხოეთის რეგისტრაციაქმნილი ფირმების შესახებ.

„ 256. შრომის ბირჟის აღნუსხვიდან მოხსნილ ქალთა სამუშაოზე დადგომის წესის შესახებ.

„ 257. ამიერკავკასიის რკ. გზ. გამგეობისა და სამმაროველის შტატების შემცირების შესახებ

„ 258. სახელმწიფოებრივ და კერძო დაწესებულებათა და ხავაჭრო საწარმოთა მოსამსახურეების რიცხვისა და სამუშაო ხელფასის მიმდინარე აღნუსხვის მოწყობის შესახებ.

„ 259. საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე აღძრულ შრომის ხასიათის კონფლიქტების გადაწყვეტის წესის შესახებ.

„ 260. იმ თანამდებობათა სიის გაფართოების შესახებ, რომლებზედაც დანიშვნა შეიძლება შემდგომი რეგისტრაციის წესით.

„ 261. საფეიქრო ნაკეთობის ფასებზე წანამატის დაწესების შესაგებ.

„ 262. კერძო ფაბრიკებში თამბაქოს წლიურად გადამუშავებისათვის საშალდებულო მინიმუმის დაწესების შესახებ.

დადგენილება № 48 ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 19.

226. ხალიჩების სალიცენზიო გამოსაღების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სალიცენზიო გამოსაღები ხალიჩებისათვის გადახდევნებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მეშვეობით, ხალიჩების უცხოეთში ღირებულების 2 პროცენტის რაოდენოაით.

2. იმ ხალიჩებისათვის, რაც საზღვარგარეთ ცალობით იქნება გატანილი, როგორც სამგზავრო ნივთი, სალიცენზიო გამოსაღები დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით: კავკასიური ხალიჩებისათვის—ფუთზე ხუთი მანეთი, ხოლო არაკავკასიური ხალიჩებისათვის—ფუთზე ათი მან.

3. ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ოქტომბრის 17 თარიღისა და 98 №-რის დადგენილება—საზღვარგარეთ გასატანი ხალიჩების სალიცენზიო გამოსაღების შესახებ—(ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. მე-12 №-რი, მუხ. 222) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თან. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 691 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 1-ს

დადგენილება № 49 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 19.

227. საბაჟო ორგანოების მიერ კონფისკაციაქმნილი საკონტრაბანდო საქონლის რეალიზაციით შემოსული თანხების განაწილების წესის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1914 წ. თებერვლის 26 თარიღის დადგენილების თანახმად და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მაისის 9 თარიღისა და 44 №-რის დადგენილების (ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონ-

თა და განკარგ. კრებ. 1923 წ. მე-9 №-რი, მუხ. 100) მე-2 მუხ. გასაუქმებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს**:

1. საბაჟო ორგანოების მიერ კონფისკიციაქმნილი საკონტრაბანდო საქონლის რეალიზაციით შემოსული თანხებიდან, გარდა ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნულისა, 30 პროც. შედის ვაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შემოსავალში მისი სანაპირო ჯარების სურსათ-ნივთობრივი მომარაგებისათვის; ხოლო დანარჩენი თანხა, სასამართლო ხარჯისა, გადაზიდვისა და რეალიზაციისათვის საჭირო თანხების გამოკლებით, განაწილდება შემდეგნაირად (დარჩენილი თანხის 100 პროცენტული ანგარიშთ):

ა. როდესაც კონტრაბანდა დაჭერილი იქნება საბაჟო ორგანოების თანამშრომლთა მიერ—33 პროც. პირდაპირ დამჭერთ, 20—პროც. დამხმარეთ, 30—პროც.—სათანადო საბაჟო ოლქს და 17 პროც.—ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას; უკეთუ დამხმარენი არ იქნებიან,—მათი კუთვნილი 20 პროც. გადაეცემა მთავარ საბაჟო სამმართველოს.

ბ. კონტრაბანდის დაჭერისათვის ყველა დანარჩენ შემთხვევაში, გარდა 1-ლი მუხ. „ა“ პუნ. აღნიშნულისა,—33 პროც. პირდაპირ დამჭერთ, 20 პროც. დამხმარეთ, 47 პროც. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას; უკეთუ დამხმარენი არ იქნებიან,—მათი კუთვნილი 20 პროც. გადაეცემა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს.

შენიშვნა. თკეთუ კონტრაბანდის შემომტანნი დაჭერილ არ იქნებიან, პირდაპირი დამჭერნი და დამხმარენი მიიღებენ „ა“ და „ბ“ პუნ. აღნიშნული პრემიების რაოდენობის ნახევარს, ხოლო დანარჩენი ნახევარი შედის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შემოსავალში სანაპირო ჯარების სურსათ—ნივთობრივი მომარაგებისათვის.

2. კონფისკაციაქმნილი და სათანადო უწყებისათვის გადაცემული სამხედრო გაწყობილების საგნებისა, იარაღისა, ასაფეთქებელი ნივთიერებისა, საფრენი აპარატებისა, სპირტისა და სპირტის სასმელებისათვის მიღებული თანხა, აგრეთვე საბაჟო დაცვის დებულების (რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1922 წ. 58 №-რი, მუხ. 734) 12—15 მუხ. თანახმად გადახვევინებული საურავი განაწილდება საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სახელმწიფო ორგანიზაციისათვის გადასაცემ საკონტრაბანდო საგნების დამჭერთა პრემიებით დაჯილდოების შესახებ—1923 წ. ივლისის 20-ს თარიღით გამოცემული დადგენილების წესისამებრ (სსრ კავშირის ც. ა. კ-სა, ს. კ. ს. და შ. და თ. ს. „ვესტნიკ“-ის 1923 წ. მე-4 №-რი, მუხ. 92).

3. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1924 წ. ოქტომ. 1-დან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივ. თან. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 691 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 1-ს.

დადგენილება № 50 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის სექტემბრის 19.

228. ნარდად-მომუშავეთა და გამყიდველ-მიმწოდებელთა მიერ საარეწავი გადასახადის გასტუმრების საქმის მომწესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ.

საგადასახადო განყოფილებათათვის ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების თაობაზე ცნობების შეტყობინების შესახებ 1924 წ. თებერვლის 28-ს თარიღით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებული 1924 წ. მე-3 №-რი, მუხ. 51) დადგენილების გასაუქმებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს**:

ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულება და საწარმო მოვალეა შეატყობინოს ამიერკავკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ საგადასადო განყოფილებათ ცნობები მის მიერ გაცემული ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების შესახებ.

2. ცნობები ნარდად მუშაობასა და ყიდვა-მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულობის შესახებ უნდა გაეგზავნოს ერთი თვის ვადაზე დღიდან ხელშეკრულობის დადებისა იმ ადგილის საგადასახადო განყოფილებას, სადაც ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების გამცემი (შემკვეთი) დაწესებულება ან საწარმო იმყოფება, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფორმით.

იმ შემთხვევაში, როდესაც დადებული ხელშეკრულობა დამტკიცებულ უნდა იქნეს უმაღლესი ინსტანციის მიერ, ერთი თვის ვადა ჩაითვლება იმ დღიდან, რა დღესაც ხელშეკრულობა ძალაში შევა დამტკიცების გამო ან იმისგამო, რომ უმაღლესი ინსტანციისაგან მიღებულ იქნება ცნობა დადგენილ ვადაზე.

3. არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციას და სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ნარდად სამუშაო და ყიდვა-მიწოდება გაუცია, უფლება არა აქვს მისცეს თავის კონტრაგენტს რაიმე თანხა, გარდა ხელშეკრულობით დადგენილი ავანისა, უკეთუ ნარდად—მომუშავე ან გამყიდველ—მიმწოდებელი არ წარადგენს სათანადო საარეწავ პატენტსა ან საფინანსო ორგანოს მოწმობას, რომ იგი განთავისუფლებულია პატენტის აღებისაგან.

4. საგადასახადო განყოფილებას უფლება აქვს შეამოწმოს ხოლმე თავისი რწმუნებულის მეშვეობით ზემოაღნიშნული წესისამებრ მიღებული ცნობები ნარდად-მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების შესახებ დაწესებულებისა და საწარმოს საქმისწარმოების დათვალიერებით.

5. საგადასახადო განყოფილებას უფლება აქვს მოსთხოვოს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას, აგრეთვე სააქციო საზოგადოებას, რომ მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჭიროს ნარდად მომუშავეს და გამყიდველ-მიმწოდებელს მისთვის მისაცემი სასყიდლიდან თანხა იმ სათანაბრო გამოსაღების დასაფარავად, რაც ნარდად მომუშავეზე ან გამყიდველ-მიმწოდებელზე ირიცხება.

6. სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაცია, აგრეთვე სააქციო საზოგადოება მოვალეა დაუჭიროს ნარდად მომუშავეს ან გამყიდველ-მიმწოდებელს სათანაბრო გამოსაღების დასაფარავად მარტოოდენ ის თანხები, რაც სათანადო საფინანსო ორგანოს მიერ (მუხ. 5) იქნება აღნიშნული და, ამასთანავე, მხოლოდ იმ თანხებიდან, რაც უდავოდ ერგება ნარდად მომუშავეს ან გამყიდველ-მიმწოდებელს, ყველა იმ პრეტენზიის გამოკლებით, რომელიც შემკვეთს ექნება ცალკისი კონტრაგენტისადმი, იმის მიუხედავად, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ეს პრეტენზია.

7. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ივანიშვილი**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
მდივნის თანამდ. დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 691 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 1-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წლის სექტემბრის 22.

229. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოდ მოყვანილი დებულება კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის შესახებ.

2. ეროვნულ დივიზიათა სამხედრო სასამართლოებისა და პროკურატურის რეორგანიზაცია ამა დებულების საფუძველზე დასრულდეს ამა 1924 წლის ოქტომბრის 1-სათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

დებულება კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის შესახებ.

1. ყველა ეროვნულ დივიზიაში მოეწყობა სამხედრო ტრიბუნალი და პროკურატურა იმ შტატებისა და იმ დებულებების შიხედვით, რაც მიღებულია ნომრიანი დივიზიებისათვის.

2. საერთო ხელმძღვანელობა, მეთვალყურეობა და პასუხისმგებლობა ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალების და პროკურატურის მდგომარეობისა და მუშაობისათვის დაეკისრება სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და კავკასიის წითელდროშიან არმიის პროკურორს—კუთვნილებისამებრ.

3. სამართლის წარმოება, სასამართლოში ლაპარაკი და მიწერ-მოწერა ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებში და პროკურატურაში იქნება იმ ენებზე, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და სათანადო რესპუბლიკების კანონმდებლობით ამ საგანზე დამყარებულ წესებში; ხოლო მატერიალური და საპროცესო კოდექსების ნორმებად შეფარდებულ უნდა იქნეს ის ნორმები, რაც მოქმედობს თვითეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. ნაციონალურ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის პასუხისმგებელ მომუშავეთა პირადი შედგენილობა დაინიშნება რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების შეთანხმებით კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხ. ტრიბუნალებთან და პროკურატურასთან; ამასთანავე თავმჯდომარენი და პროკურორები დამტკიცებულ იქნებიან კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანებით, ხოლო კოლეგიის წევრები—კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანებით.

5. საკასაციო ინსტანციის ფუნქციებს ნაციონალურ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალების მიმართ განახორციელებს სათანადო რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ყველა სხვა უფლებითურთ, რაც შედის აღნიშნულ უზენაესი სასამართლოს გამგებლობის ფარგლებში.

6. რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და პროკურორებს უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით გამოითხოვონ ესა თუ ის საქმე, რაც სათანადო სამხედრო ტრიბუნალის წარმოებაში იქნება და აგრეთვე განასაჩივრონ, როგორც აღნიშნული ტრიბუნალის განაჩენი და გადაწყვეტილება, ისე პროკურატურის დადგენილება.

7. რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და პროკურორებს უფლება აქვთ—კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარესთან ან პროკურორთან შეთანხმებით—მოახდინონ რევიზია ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურისა.

8. ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალები და პროკურატურა თავიანთი მუშაობის ანგარიშს წარუდგენენ—სათანადო ფორმით—კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და პროკურორს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკანურ იუსტიციის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს მოითხოვოს ანგარიშგება სასამართლო და საგამომძიებლო საქმეთა გამო მის მიერ დაწესებული ფორმით, როგორც პერიოდულად. ისე ცალკე მოთხოვნისამებრ.

9. იმ ეროვნულ დივიზიაში, სადაც უკვე არის სამხედრო ტრიბუნალი, უკანასკნელი გადაკეთებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული წესის თანახმად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 692 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 2-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

327

1924 წ. სექტემბრის 22.

230. ა/კ. ც. ა. კ-თან არსებული ამიერკავკასიის საშეფო საქმეთა საბჭოს გაუქმების შესახებ.

რადგანაც უკვე დამთავრებულია საორგანიზაციო პერიოდი პროლეტარული ორგანიზაციების შეფობის განხორციელებისა წითელი არმიის მიმართ, —ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ა/კ. ც. ა. კ-თან არსებული ამიერკავკასიის საშეფო საქმეთა საბჭო.

2. გადაწყვეტა ყველა საკითხისა წითელი არმიის მიმართ შეფობის შესახებ გადაეცეს ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ც. ა. კ-თან არსებულ საშეფო ბიუროებს.

3. რადგანაც არმია გადავიდა უფრო რეგულიარულ მომარაგების ნიადაგზე, ვიდრე აქამდე იყო, მუშაობის მნიშვნელობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს იდეური შეფობის დამყარების სფეროში მშრომელთა და წითელი არმიის შედუღების განმტკიცებისა და კულტურულად შეკავშირების საშუალებით.

4. მატერიალური დახმარება შეფის მიერ შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობითი ანარიცხის სახით, როგორც შედეგი უკვე დამყარებული იდეალური კავშირისა.

5. სამხედრო ერთეულის შეფად შეიძლება იყოს კომუნისტური პრტიისა, პროფესიონალური კავშირისა, კომუნისტური ახალგაზრდობის საბჭოს ორგანიზაცია, აგრეთვე საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტი, კოოპერატივი და ის ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ აერთებენ მშრომელთა მასებს.

6. განთავისუფლებულ იქნეს შეფობისაგან ყველა ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანო (აღმასრ. კომიტ. განყოფილებანი, სახალხო კომისარიატი, ტრესტი, საფინანსო ორგანო და სხვ.)

7. დანარჩენში სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული 1923 წლის თებერვლის 6-ს „დებულება წითელი შეფობის შესახებ.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 692 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 2-ს

დადგენილება ამკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 22.

231. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებათა განთავისუფლების შესახებ საშემოსავლო-ქონებრივი და სარეწავი გადასახადისაგან და საღერბო გამოსაღებისაგან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სასოფლო-სამეუნეო კრედიტის ყველა საფეხურის დაწესებულების საშემოსავლო-ქონებრივი და სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ გამოცემული დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ**:

1. განთავისუფლებულ იქნენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებანი საშემოსავლო-ქონებრივი და სარეწავი გადასახადისაგან.

2. განთავისუფლებულ იქნენ საღერბო გამოსაღებისაგან:

ა) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებათა ყველა საანაბარო და სესხის ოპერაცია;

ბ) ამავე დაწესებულებათა პაიები;

გ) საანაბარო და სესხის ოპერაციების დოკუმენტი, რაც დადებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებაში ამ დაწესებულებათა წევრების მიერ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორეხელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 692 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 2-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის სექტემბრის 29.

232. საბამბო მეურნეობათათვის 1924—1925 წ. ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის გასტუმრების შემსუბუქების შესახებ.

რათა ხელი შეეწყოს მებამბეობის საქმეს და საბამბო მეურნეობათ გაუადვილდეთ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრება 1924—1925 წ., ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად იმ მეურნეობისათვის, რომლის დასაბეგრ სივრცეში შედის ბამბის ნათესი, შეფარდებულ იქნეს განაკვეთის ცხრილი № 6, რაც დაწესებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. აგვისტოს 31-ს გამოცემული დეკრეტით (50 პროცენტით ნაკლებია ძირითად ცხრილზე), მიუხედავათ იმისა, თუ განაკვეთის რომელი ცხრილი შეეფარდება იმავე ადგილის სხვა მეურნეობას.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ისეთი მეურნეობისათვის, რომლისთვისაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უკვე გამოანგარიშებულია რომელიმე სხვა ცხრილის მიხედვით,—გადასახადის რაოდენობა შემცირებულ იქნეს იმ თანხამდე, რაც თვითეულმა მეურნეობამ უნდა გადაიხადოს მე-6 ნომრის ცხრილის თანახმად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 692 №-ში 1924 წლის ოქტომბრის 2-ს.

დადგენილება № 51 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 19.

233. საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს საბაჟო გადასახადის დაბრუნების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ასანთისა და საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს საბაჟო გადასახადის დაბრუნების შესახებ—1924 წ. თებერვლის 1-ს თარიღითა და 5/121 №-ით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1924 წ. მე-2 №-რი, მუხ. 31) დადგენილების შესაცვლელად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-V მუხლთან დართულ ცხრილი მე-2-რე—საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს საბაჟო გადასახადის დაბრუნებისა—შეიცვალოს ამა დადგენილებასთან დართული ახალი ცხრილით.

2. იმავე დადგენილების მე-VI მუხ. „ა“ და „დ“ პუნქტები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ა) ქვითარი, მიცემული ბამბისა, სელისა, ქერელისა და ჯუთის ნაკეთობის (ცხრილის 1-3 მუხ.) გატანისათვის, მიიღება ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლისათვის, რაც აღნიშნულია ს. ს. რ. კავშირის სახ. კომისართა საბჭოს მიერ—შემოტანილი საქონლისათვის—1924 წ. იანვრის 8-ს დამტკიცებული საევროპო ვაჭრობის საბაჟო ტარიფის 105 (ბ. 2-4), 107 (ბ.1), 108 (ბ. 1), 124 (ბ. 2), 125, 127, 129, 130, 134, 135, 167 და 179 მუხ.

ბ) ქვითარი, მიცემული შირის ნაკეთობის (ცხრილის მე-6 მუხ.) გატანისათვის, მიიღნბა ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლისათვის, რაც ჩამოთვლილია ზემოაღნიშნული ტარიფის 88 (ბ. 1 და 2), 91, 94 (ბ. 2), 117 (ბ. 1), 131, 132 (ბ. 2), 167, 187, 188, 198, 199 და 205 (ბ. 1, ლიტ. „ბ“) მუხ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმ. **ს ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 693 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის სექტემბრის 19-ს თარიღის და 51 №-რის დადგენილებისა — საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს საბაჟო გადასახადის დაბრუნების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ცხრილი II.

საბაჟო გადასახადის დაბრუნებისა საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს

№№ მუხლებისა რიგზე.	სახელწოდება ნაკეთობისა, რომლის საზღვარგარეთ გატანის დროსაც მოხდება საბაჟო გადასახადის დაბრუნება.	დასაბრუნებელი გადასახადის განაკვეთი 100 კგრ.	
		მანეთი	კაპ.
	1. ბამბის ნაკეთობა, თუნდაც სხვა ჩინჩილის მასალა-ნარევი		
1	ნართი ხამი და გათეთრებული	10	55
2	ნართი შეღებილი და დაჩითული, გარდა ადრიანოპოლის წითელ ფერად შეღებილისა.	20	15
3	ნართი შეღებილი ადრიანაპოლის წითელ ფერად . .	23	85
4	ძაფი დაგრეხილი ორწვერა და მეტიანი, ხამი და გათეთრებული არა ხის კოჭზე:		
	ა) დამზადებული 50 №-ზე დაბალი ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	12	5
	ბ) დამზადებული 50 №-ის და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით).	14	85
5	ძაფი დაგრეხილი ორწვერა და მეტიანი, შეღებილი, არა ხის კოჭზე:		
	ა) დამზადებული 50 №-ზე დაბალი ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	21	7
	ბ) დამზადებული 50 №-ის და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	24	50
6	ძაფი დაგრეხილი ორწვერა და მეტიანი, ხამი და გათეთრებული, ხის კოჭზე:		
	ა) დამზადებული 50 №-ზე დაბალი ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	11	35
	ბ) დამზადებული 50 №-ის და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	12	75
7	ძაფი დაგრეხილი, ორწვერა და მეტიანი, შეღებილი, ხის კოჭზე:		

№№ მუხლებისა რიგზე.	სახელწოდება ნაკეთობისა, რომლის საზღვარგარეთ გატანის დროსაც მოხდება ხაბაჟო გადასახადის დაბრუნება.	დასაბრუნებელი გადასახადის ნაკვეთი 100 კგრ.	
		მანეთი	კაპ.
	ა) დამზადებული 50 №-რის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	16	15
	ბ) დამზადებული 50 №-რისა და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	17	60
8	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, ხამი და გათეთრებული .	12	5
9	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, შეღებილი და დაჩითული და აგრეთვე ჭრელი, გარდა ადრიანოპოლის წითელ ფერად შეღებილისა.	25	70
10	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, შეღებილი ადრიანაპოლის წითელ ფერად	29	40
	2. ხელისა და ქერელის ნაკეთობა, თუნდაც სხვა ჩინჩილის მახალა ნარევი:		
1	ხამი ნართი და ძაფი და აგრეთვე თოკი, რომლის თერთმეტი მეტრი წონით 76 გრამზე ნაკლები იქნება.	2	75
2	ნართი და ძაფი გათეთრებული	3	65
3	ნართი და ძაფი შეღებილი	11	25
4	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, ხამი	3	5
5	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა თეთრეული და ტანსაცმელი, გათეთრებული	4	55
6	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, შეღებილი და აგრეთვე ჭრელი და დაჩითული	7	60
	3. ჯუთის-ნაკეთობა.		
1	ნართი და ძაფი	11	55
2	ქსოვილი და ტომარა	13	70
	4. მატყლისა და ნახევრად მატყლის ნაკეთობა.		
1	მატყლის ქსოვილი, ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 1 ოთხკ. მეტრი წონით 410 გრ. მეტი არ აქნება	37	20

№№ მუხლებისა ჩარიგზე.	სახელწოდება ნაკეთობისა, რომლის საზღვარგარეთ გატანის დროსაც მოხდება საბაჟო გადასახადის დაბრუნება.	დასაბრუნებელი გადასახადის ნაკეთი 100 კგრ. მანეთი	კაპ.
2	მატყლის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 1 ოთხკ. მეტრი წონით 410 გრ. მეტი იქნება, ხოლო არა უმეტეს 500 გრ-სა.	35	5
3	მატყლის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 1 ოთხკ. მეტრი წონით 500 გრამზე მეტი იქნება	23	15
4	ნახევრად-მატყლის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის ოთხკ. მეტრი წონიო 410 გრ. მეტი არ იქნება .	41	45
5	ნახევრად-მატყლის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის ოთხკ. მეტრი წონით 410 გრ. მეტი იქნება, ხოლო არა უმეტეს 500 გრამისა	398	95
	5. აბრეშუმისა და ნახევრად-აბრეშუმის ნაკეთობა.		
1	აბრეშუმის ნაგრეხი ნართი	399	55
2	აბრეშუმის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი	558	55
3	ნახევრად-აბრეშუმის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთროული და ტანსაცმელი .	199	45
	6. შირის ნაკეთობა.		
1	შირის ფეხსაცმელი (გალოში, „ბოტიკი“ და სხვ.) . .	10	15
2	შირის კამერები პნევმატიური სალტისა	9	—
3	პნევმატიური სალტის შემოსაკვრელი	208	70
4	შირის მასსიური სალტე (ეკიპაჟის ტვირთ-სალტე) . .	11	10
5	შირის ფირფიტა უსარჩულო	14	65
6	შირის საწოვებელი უნაკერო	9	30
7	შირის საოწვებელი ნაკერიანი	9	15

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომ. საბჭოს საქ. მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომ. საბჭოს მდივ. თან. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 747 №-ში 1924 წ. დეკემბრის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 22.

234. არყის ნაკეთობის ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ 1923 წ. მაისის 17 თარიღით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკ. კრებ. 1923 წ. № 8, მუხ. 113) დადგენილების დამატებად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ**:

1. არყის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს, გარდა იმ ძირითადი და დამატებითი აქციზის მოხსნისა, რაც გადახდილ უნდა იყოს აღნიშნული სპირტის სასმელების გატანილი რაოდენობისათვის, აგრეთვე გადარიცხულ უნდა იქნეს უაქციზოდ: ა) პრემიად—5 პროცენტი საზღვარგარეთ გატანილი არყის ნაკეთობის რაოდენობისა; ბ) საგზაო ხარჯის დასაფარავად, როდესაც გატანილი იქნება ბოჭკებით და პატარა ბოჭკებით—ტრანსპორტის გზაში ყოფნის დროს—პირველი დღისათვის 0,5 პროც. და თვითეული შემდგომი დღისათვის—0,1 პროც., ხოლო სულ არა უმეტეს 6 პროცენტისა; როდესაც გატანილი იქნება შუშისა, ფაიფურისა და სხვ. ჭურჭლით—ნახევარი პროც. მთლად იმ არყის ნაკეთობის რაოდენობისა, რაც აღნიშნულ იქნება ტრანსპორტის დოკუმენტებში.

2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარს ნება ეძლევა ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცეს ინსტრუქცია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 693 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 3-ს

დადგენილება № 129 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. სექტემბრის 30.

235. სისხლის სამართლის მაძიებელ დაწესებულებში სამუშაო დროისა და მორიგეობის განსაზღვრის შესახებ.

რადგანაც სისხლის სამართლის მაძიებელ დაწესებულებათა მომუშავეთ განსაკუთრებულ პირობებში უხდებათ მუშაობა, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, შრომის კანონთა კოდექსის 94 მუხ. შენიშვნის თანახმად, ამყარებს შემდეგ წესებს სისხლის სამართლის მაძიებელ დაწესებულებათათვის სამუშაო დროისა და მორიგეობის შესახებ:

§ 1. სისხლის სამართლის მაძიებებელი დაწესებულების იმ თანამშრომელთა მუშაობა, რომელნიც ამა დადგენილების მე-2 §-ში არიან ჩამოთვლილნი, როდესაც სამაძიებლო მოქმედება გადაუდებელია და სასწრაფო ხასიათისა, შეიძლება სწარმოებდეს სამუშაო დროის შემდეგ და აგრეთვე ღამითაც.

შენიშვნა. იმ თანამშრომელს, რომელიც დასვენების დღეს იმუშავებს, კომპენსაციად უნდა მიეცეს სათანადო დასვენება იმავე კვირის სხვა დღეს, ხოლო იმ პირობით-კი უკეთუ მისთვის დაკისრებული სამუშაო სასწრაფო და გადაუდებელი არ იქნება.

§ 2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სამუშაოს აღმსრულებელ თანამშრომელთა რიცხვს ეკუთვნიან: 1) რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამაძიებელო სამმართველოში: ა) სამმართველოს უფროსი და მისი თანაშემწე; ბ) აქტიურ განყოფილებაში: განყოფილების უფროსი, მისი თანაშემწე, ბრიგადის უფროსი, უფროსი ინსპექტორი და 1-ლი და მე-2 ხარისხის სუბინსპექტორი; გ) საიდუმლო ქვეგანყოფილებაში: ქვეგანყოფილების უფროსი, მისი თანაშემწე და უფროსი დამზვერავი. 2) სისხლის სამართლის სამაძიებლო ადგილობრივ ორგანოებში: ა) აქტიურ განყოფილებაში: განყოფილების უფროსი, ინსპექტორი, სუბ-ინსპექტორი და 1-ლი და მე-2 ხარისხის აგენტი; ბ) საიდუმლო განყოფილებაში: განყოფილების უფროსი; გ) მაძებარი ძაღლების სანაშენო განყოფილებაში: სანაშენოს გამგე და მწვრთნელი-გამძღოლი; დ) სარეგისტრაციო მაგიდისა ᲡᲔ დაქტილოსკოპიის გამგე, ე) ავტონომიური რესპუბლიკისა, საოლქო და საგუბერნიო სამმართველოს ცენტრალური სამაძიებო დაწესებულებისა და სისხლის სამართლის სამაძიებლო სამაზრო განყოფილების გამგე და მისი თანაშემწე.

§ 3. სისხლის სამართლის სამაძიებლო ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოში დაწესებულია უცვლელი დღე-და-ღამის განმავლობაში მორიგეობა, როგორც მეცადინეობის დღეს, ისე უქმე-დღეს. დღე-და-ღამის მორიგეობას ეწევიან აქტივურ განყოფილების თანამშრომელნი, ამა დადგენილების მე-2 §-ში ჩამოთვლილნი.

§ 4. აქტიურ განყოფილების ცალკე თანაშრომელის სამორიგეოდ დანიშვნა მოხდება აქტიური განყოფილების უფროსის გინკარგულებით.

§ 5. თვითეულ თანამშრომელს არ უნდა მოუხდეს თვეში ოთხჯერზე მეტი მორიგეობა.

შენიშვნა. აღნიშნულ ნორმაზე მეტი მორიგეობა შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევაში სისხლის სამართლის სამაძიებელო დაწესებულების უფროსის განსაკუთრებული ნებართვით.

§ 6. დღე-და-ღამის მორიგეობის გათავებისას თანამშრომელს უგდა მიეცეს დასვენება არა ნაკლებ ერთი დღე-და-ღამისა; იმ პირობით-კი, უკეთუ მისთვის დაკისრებული სამუშაო სასწრაფო და გადაუდებელი არ არის.

შენიშვნა. განკარგულებას დასვენების მიუცემლობის შესახებ მოახდენს აქტიურ განყოფილების უფროსი.

§ 7. ამა დადგენილების მე-2 §-ში აღნიშნულ სისხლის სამართლის სამაძიებლო დაწესებულების თამამშრომელს, რომელიც შეასრულებს სამუშაოს ან მორიგეობას ნორმალურ სამუშაო დროის გარეშე, მიეცემა კომპენსაცია:

1) ყოველწლიური შვებულება ერთი-ორად სისხლის სამართლის სამაძიებლო დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან შედარებით.

2) ძირითადი ჯამაგირის 50%-ით გადიდების სახით.

§ 8. სისხლის სამაძიებლო დაწესებულების დანარჩენ თანამშრომელთა მუშაობა, გარდა ამა დადგენილების მე-2 §-ში ჩამოთვლილ თანამშრომელთა, სწარმოებს საერთო საფუძველზე, შრომის კანონთა კოდექსით დამყარებულ წესების თანახმად.

§ 9. მორიგეობის გაწევისა და სამუშაოს შესრულების წესი დამყარდება სისხლის სამართლის სამაძიებლო დაწესებულების უფროსის ინტრუქციებით და ბრძანებით.

§ 10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და ადგილობრივ მიღებისა.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგის მაგიერ **ზევალდი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 694 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის სექტემბრის 29.

236. ადგილობრივ საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ადგილობრივ სა-

ზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ გამოცემული დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოსახლეობის თვითდაბეგვრა ყოველგვარი ადგილობრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად (სწავლა-განათლება, სამკურნალო და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა შენახვა, აგრეთვე ადგილების მოწყობა-განკარგების საჭიროებათა დაკმაყოფილება და სხვ.) შეიძლება მხოლოდ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელნიც ამ მიზნით გაერთიანდებიან არსებული წესით ნებადართულ ორგანიზაციად ან ნებაყოფლობით იკისრებენ განსაზღვრულ ვალდებულებათ.

2. დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ, მიღებული სხდომაზე, ყრილობაზე ან სხვა რაიმე კრებაზე კენჭის ყრაში მონაწილე მოქალაქეთა ხმის უმრავლესობით, არ არის სავალდებულო იმ პირთათვის, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ კრებაში, ან მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ ხმა არ მიუციათ, ან და ხმა მიუციათ მიღებული დადგენილების წინააღმდეგ.

შენიშვნა. უკეთუ თვითდაბეგვრის დადგენილება მიღებელია კანონიერად არსებული ორგანიზაციის მიერ, რომელსაც თავისი წესდებით ან დებულებით უფლება აქვს დაბეგროს თავისი წევრები ადგილობრივ საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად,—საკითხი იმის შესახებ—სავალდებულოა თუ არა ორგანიზაციის დადგენილება იმ წევრთათვის, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ კენჭის ყრაში ან ხმა მიუციათ მიღებული დადგენილების წინააღმდეგ,—გადასწყდება ორგანიზაციის წესდების ან დებულების საფუძველზე.

3. თვითდაბეგვრის საკითხის გამო აღძრული ყოველგვარი დავა შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით, უკეთუ სათანადო საზოგადოების წესდებით ან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერკავკასიას სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით გათვალისწინებული არ იქნება რაიმე სხვა წესი.

4. ადგილობრივი ფინანსიური და ადმინისტრატიული ორგანოების (სოფლის ორგანოებითურთ) მონაწილეობა თვითდაბერგვრის განხორციელებაში, დავის გადაწყვეტაში და იმ გამოსაღების გადახდევინებაში, რაც თვითდაბგვრის წესით შეეწერება ცალკე მოქალაქეს,—აკრძალულია გარდა ამა დადგენილების მე-3 მუხლში გათვალისწინებული მემთხვევებისა.

5. თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხების დახარჯვა შეიძლება მხოლოდ იმ საქმისათვის, რისთვისაც თვითდაბეგვრა მოხდა.

6. უკეთუ აღმოჩნდება, რომ გამოსაღებს იძულებითი ხასიათი აქვს ან უკეთუ მოხდება ამა დადგენილების სხვაგვარი დარღვევა,—ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანო დაუყოვნებლივ გას-

ცემს განკარგულებას გამოსაღების აკრძალვისა, მისი გადახდევინების შეჩერებისა და, სათანადო შემთხვევაში, იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელთაც დაარღვიეს ესე დადგენილება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 694 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1924 წ. სექტემბრის 29.

237. ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა თაობაზე ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილებისა და ა/კ- ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ—აქციზდასადები საგნების საზღვარგარეთ გატანის დროს აქციზის მოხსნის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

რათა ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა იმ აქციზდასადები საქონლის ექსპორტის შესახებ, რაც ჩამოთვლილია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებაში „ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ"—შეთანხმებულ იქნეს საერთო-საკავშირო კანონმდებლობასთან, აგრეთვე, იღებს-რა სახელმძღვანელოდ ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. ივლისის 13-ს დადგეეილებას „სრულიად რუსეთის ც. ა. კ-სა და რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების შესახებ" („ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ., ს. კ. ს. და შ. და თ. ს. მოამბი"-ს 1-ლი №-რი, მუხ. 12).—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ-ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ გამოცემული დადგენილებისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკ. კრებ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 113) და ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ აქციზდასადები

საგნების საზღვარგარეთ გატანის შესახებ გამოცემული (ა/კ. ნ. ფ. ს. რ. კანონთა და განკ. კრებ. 1924 მე-4 №-რი, მუხ. 88) დადგენილების დასამატებლად—ადგენს:

1. საზღვარგარეთ გატანის დროს ს.ს. რ. კავშირის ნავთისა, სანათი ზეთისა და სხვა გამჭვირვალე პროდუქტისა, რაც ნავთიდან იქნება გამოხდილი ან ქიმიურად და სხვაგვარად გადამუშავებული, გარდა იმისა, რომ ამ საზღვარეთ გატანილ პროდუქტების რაოდენობას მოეხსნება აქციზი, ამასთანავე გადაირიცხება უაქციზოდ.

1) საპრემიოდ: ა) ნავთის სანათ ზეთზე—1 პრცენტი საზღვარგარეთ გატანილი რაოდენობისა; ბ) სხვა გამჭვირვალე პროდუქტზე, რაც ნავთისაგან იქნება გამოხდილი ან გადამუშავებული—3 პროც. საზღვარგარეთ გატანილი რაოდენობისა;

2) საგზაო ხარჯების დასაფარავად—2 პროც. გატანილი ნავთის პროდუქტების რაოდენობისა, გარდა იმ პროდუქტებისა, რაც გატანილ იქნება პორტთან ან საბაჟოსთან არსებული ნავთის სახდელი ქარხნებიდან, როდესაც არავითარი ანარიცხი საგზაო ხარჯებისათვის არ უნდა იქნეს წარმოებელი.

II. ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე გამოხდილი სპირტის საზღვარგარეთ გატანის დროს, გარდა აქციზის მოხსნისა საზღვარგარეთ გაშვებული სპირტის რაოდენთბისათვის, გადაირიცხება უაქციზოდ:

1. საპრემიოდ: ა) დაწმენდილ სპირტზე, რომლის სიმაგრე 95 გრ. ნაკლები არ არის, და რომელიც აკმაყოფილებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგნილ წესს სიწმინდისა და თვისების შესახებ—5 პროც. და ბ) იმ სპირტზე, რომელიც არ აკმაყოფილებს „ა“ პ. აღნიშნულ წესს,—$3^1/_2$ პროც. საზღვარგარეთ გატანილი რაოდენობისა;

2) საგზაო ხარჯების დასაფარავად: პირველი დღისათვის, რაც სპირტის ტრანსპორტი გზაში იქნება, უკეთუ სპირტი ბოჭკებით იგზავნება—0,5 პროც, და ვაგონ-ცისტერინით—0,3 პროც., ხოლო თვითეული შემდგომი დღისათვის, უკეთუ სპირტი ბოჭკით იგზავნება,—0,1 პროც. და ვაგონ-ცისტერინით—0,04 პროც. მთლად სპირტის იმ რაოდენობისათვის, რაც აღნიშნულ იქნება ტრანსპორტთან ერთად გაგზავნილ დოკუმენტში.

3) იმ ხარჯების დასაფარავად, რაც დასჭირდება სპირტის ბოჭკებიდან გადასხმას ან ვაგონ-ცისტრნებიდან ბოჭკებში გადასხმას,—0,15 პროც. გადასხმული სპირტის რაოდენობისა.

III. ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე დამზადებული ყურძნის ღვინის გატანის დროს, გარდა საზღვარგარეთ გატანილი ღვინის რაოდენობისათვის აქციზის მოხსნისა, გადაირიცხება უაქციზოდ:

1) საპრემიოდ 3 პროც. საზღვარგარეთ გაშვებული ღვინის რაოდენობისა;

2) საგზაო ხარჯების დასაფარავად: როდესაც ღვინო ბოჭკებით იგზავნება 2 პროც. და როდესაც მინისა, ფაიფურისა და სხვა ჭურჭლით იგზავნება—$^1/_2$ პროც. ღვინის იმ რაოდენობისა, რაც აღნიშნულ იქნება ტრანსპორტთან ერთად გაგზავნილ დოკუმენტში.

IV. ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე ამოღებული საჭმლის მარილის გატანის დროს, გარდა საზღვარგარეთ გატანილი მარილის რაოდენობისათვის აქციზის მოხსნისა, გადაირიცხება უაქციზოდ:

1) საპრემიოდ—4 პროც. საზღვარგარეთ გაშვებული მარილის რაოდენობისა;

2) საგზაო ხარჯების დასაფარავად: როდესაც მარილი ტომრებით, ბოჭკებით და სხვ. ამისთ. რამით იგზავნება—$^1/_2$ პროც. და როდესაც ვაგონში ჩაყრით იგზავნება—1 პროც. მარილის იმ რაოდენობისა, რაც აღნიშნულ იქნება ტრანსპორტთან გაგზავნილ დოკუმენტში.

V. აქციზის დაბრუნება და უაქციზო ანარიცხები მოხდება განსაკუთრებული ქვითარების მიცემით, რაც იმ აქციზის გადასახდელში მიიღება, რომელიც გადახდევინებულ უნდა იქნეს ქვითარში აღნიშნული პროდუქტის თანაბარი პროდუქტისათვის.

VI. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 694 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 4-ს.

დეკრეტი ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 3.

238. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათის შესახებ 1924 წლის მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილების მოსახლეობისათვის.

მოუსავლობის შედეგებთან ბრძოლის მიზნით და გლეხთა მეურნეობის ეკონომიური ძალღონის გასამაგრებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იმ ადგილებში, რომლებიც ცნობილია, როგორც განსაკუთრებით დაზარალებული 1924 წლის მოუსავლობისაგან,

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გადაახდევინონ შემცირებული რაოდენობით მოუსავლობისაგან დაზარალებულ ცალკე მეურნეობათ, ან სრულიად მოხსნან მათ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არსებული მონაკლებთა ფონდის ფარგლებში.

1924 წლის მოუსავლობისაგან დაზარალებული ადგილების ნუსხას და თვითეული მაზრისათვის მონაკლებთა ფონდს განსაზღვრავს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს ინსტრუქცია ამა დეკრეტის განსახორციელებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალ.
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 696 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1294 წ. სექტემბრის 29.

239. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფარგლებში აბრეშუმის თესლის კერძო წარმოების შესახებ.

აბრეშუმის თესლის ადგილობრივ წარმოების განსავითარებლად და ამიერკავკასიის მებარეშუმეთათვის კარგი თვისებისა და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული აბრეშუმის თესლის მისაწოდებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

1. აბრეშუმის თესლის წარმოება შეუძლიან ყველა პირს და შენაერთს, ხოლო იმ პირობით—კი, რომ იხმაროს ცელულიარული საშუალება და იცოდეს რაციონალური აბრეშუმის თესლის საქმე; ამისათვის მას უნდა ჰქონდეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოწმობა.

2. აბრეშუმის თესლის მწარმოებელს უფლება აქვს, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, დაურიგოს თავისი მოქმედების რაიონში მეაბრეშუმეთ ჯიშიანი აბრეშუმის თესლი და შეიძინოს მათგან უმეშვეოდ აბრეშუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესლის წარმოებისათვის საჭირო რაოდენობის აბრეშუმის პარკი იმ პირობით, რაზედაც შეეთანხმება მეაბრეშუმეთ, ხოლო უფლება არა აქვს ეს ნაყიდი პარკი სხვა ვისმე მიჰყიდოს.

3. მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში დამზადებული აბრეშუმის თესლი ექვემდებარება მთავრობის კონტროლს.

4. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს ეძლევათ უპირატესი უფლება—შეისყიდონ დამზადებული აბრეშუმის თესლი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში. აბრეშუმის თესლის მწარმოებელნი მოვალენი არიან აცნობონ ხოლმე, არა უგვიანეს ყოველი წლის ოქტომბრის 1-სა, რუსპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომოსარიატებს მათ მიერ დამზადებული აბრეშუმის თესლის რაოდენობა, ხოლო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები მოვალენი არიან, არა უგვიანეს დეკემბრის 1-სა, აცნობონ მათ—აქვთ თუ არა სურვილი აბრეშუმის თესლი შეიძინონ. უკეთუ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები ამას არ იზამენ, აბრეშუმის თესლის მწარმოებელთ უფლება აქვთ: 1. დაურიგონ თავიანთი აბრეშუმის თესლი მეაბრეშუმეთ ამიერკავკასიის იმ რაიონებში და იმ პირობებზე, რასაც დააწესებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი; 2. გაიტანონ საზღვარგარეთ ამიერკავკასიაში რეალიზაციის გარეშე დარჩენილი აბრეშუმის თესლი, რისთვისაც უნდა აღასრულონ ყველა საამისოდ არსებული წესები.

5. აბრეშუმის თესლის საწარმონი განთავისუფლდებიან სამის წლით ყველა გადასახადისაგან, გარდა სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადისა.

6. აბრეშუმის თესლის საწარმოთ უფლება აქვთ უბაჟოდ შემოიტანონ ყველაფერი ის, რაც საჭიროა აბრეშუმის თესლის საწარმოთათვის.

შენიშვნა. სიას იმ საგნებისას, რაც საჭიროა აბრეშუმის თესლის საწარმოთათვის და რაც უბაჟოდ შემოიტანება, შეიმუშავებენ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამართველოსთან (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით; კონტროლის გასაწევად და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად ყველა გამოწერილი საგანი მიღებულ უნდა იქნეს რესპუბლიკების საabreშუმო სადგურების მისამართით.

7. ნება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს გამოსცენ ხოლმე საათანადო ინსტრუქციები ამა დადგენილების განსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 698 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის სექტემბრის 29.

240. ნებაყოფლობითი გამოსაღებისა და შეწირულების წარმოების წესის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნებაყოფლობითი გამოსაღებისა და შეწირულების წარმოების წესის შესახებ გამოცემული დადგენილების საფუძველზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესება, ყოველგვარი ნებაყოფლობითი გამოსაღებისა და შეწირულებისა რაიმე მიზნისათვის შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ თვითეულ ცალკე შემთხვევაში მიღებულ იქნება საამისო განსაკუთრებული ნებართვა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსაგან, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისაგან და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტანომიურ ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისაგან იმისდამიხედვით, თუ სად არის განზრახული აღნიშნული გამოსაღებისა და შეწირულების შეკრეფა—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ მის შედგენილობაში შემავალი ცალკე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ავტანომიურ რესპუბლიკისა და ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება: ა) იმ გამოსაღებზე, რასაც შემოიღებს ესა თუ ის ორგანიზაცია მარტოოდენ თავის წევრთა შორის კანონით ნებადართული მიზნისათვის ან ამ ორგანიზაციის შესახებ არსებული წესით დამტკიცებული დებულებისა თუ წესდების თანახმად; ბ) იმ გამოსაღებზე, რაც შემოღებულ იქნება თვითდაბეგვრის წესით და განხორციელდება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის სექტემბრის 29-ს გამოცემული დადგენილებისამებრ.

2. ყოველგვარი დაწესებულება, საზოგადოება და პირი, რომელსაც სურს შემოიღოს 1-ლ მუხლში აღნიშნული ნებაყოფლობითი გამოსაღები ან შეწირულებათა შეკრეფა, აღძრავს დასაბუთებულ შუამდგომლობას—განზრახული გამოსაღების ან შეწირულების მიზნისა, ვადისა, რაოდენობისა და ფორმის აღნიშვნით—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატისა, ან

ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ან და ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს რწმუნებულის მეშვეობით-კუთნულებისამებრ; ეს დაწებულებანი ორი კვირის განმავლობაში დღიდან შუამდგომლობის მიღებისა წარუდგენენ გადასაწყვეტად ამ შუამდგომლობას თავიანთი მოსაზრებით 1-ლ მუხლში აღნიშნულ ერთ-ერთ დაწესებულებას-კუთვნილებისამებრ. ხსენებული გადაწყვეტილების მიღებამდე რაიმე გამოსაღების ან შეწირულების შეკრეფა არ შეიძლება.

3. არსებული წესით ნებადართული ნებაყოფლობითი გამოსაღებისა და შეწირულებათა შეკრეფის მოხდენა შეიძლება მხოლოდ მიცემული ნებართვით გათვალისწინებულ ფარგლებში და პირობებში და იმ ცალკე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ გამოსაღებში ან გაიღონ ესა თუ ის შეწირულება; ამასთანავე არც ერთი მოქალაქე არ შეიძლება იძულებული ჰყონ—გადაიხადოს ეს გამოსაღები თუ შეწირულება და, უკეთუ გადახდაზე უარს იტყვის,—არ შეიძლება დევნილ იქნეს ან დაისაჯოს.

4. მმართველობის ორგანოთა (მილიცია, ადმინისტრატიული განყოფილებანი და სხვ.) მონაწილეობა ნებაყოფლობითი გამოსაღების და შეწირულების ორგანიზაციაში და გადახდევინებაში და აგრეთვე აღნიშნული გამოსაღებისა და შეწირულების განხორციელების შესახებ მათ მიერ რაიმე განკარგულების, ცირკულიარის ან მოწოდების გამოცემა—აკრძალულია და დამნაშავე გადაყენებულ იქნება თანამდებობიდან და პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით ხელისუფლების გადამეტებისათვის.

შენიშვნა. სახლის მმართველობას აეკრძალება მოახდინოს სახლის მცხოვრებთა შორის რაიმე გამოსაღების ან შეწირულების შეკრეფა, გარდა იმ გამოსაღებისა, რაც შეიძლება შეკრეფილ იქნეს საბინაო ამხანაგობის წევრთა შორის და რაც გათვალისწინებულ იქნება სათანადო საბინაო ამხანაგობის წესდებაში.

5. ყოველგვარი დაწესებულება, საზოგადოება და პირი, რომელიც მოაწყობს რაიმე გამოსაღების ან შეწირულების შეკრეფას გარეშე არსებული წესით მიღებული ნებართვისა ან რომელიც ამა დადგენილებას დარღვევს,—პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

ამირკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომ.
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს 698 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 9-ს.

დადგენილება № 2 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 9.

241 **სახელმწიფო, კოოპერატიული, პროფესიონალური, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებათა და სავაჭრო საწარმოთა პერსონალის რაოდენობისა და მისი შრომის ხელფასის აღნუსხვის შესახებ.**

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ ამიერკავკასიაში შრომისა, სამუშაო დროისა და სამუშაო ხელფასის აღნუსხვის შესახებ 1923 წ. ოქტომბრის 24-ს გამოცემული (ა/კ. ს. ს. რ. საკავ. საბ. კან. და განკ. კრებ. № 6, მუხ. 56) დადგენილების დასამატებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გავრცელებულ იქნეს შრომისა, სამუშაო დროისა და სამუშაო ხელფასის აღნუსხვა ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებაზე და სავაჭრო საწარმოზე.

2. დაევალოს 1-ლ მუხ. აღნიშნულ ყველა დაწესებულებასა და საწარმოს ამა წლის ოქტომბრის 1-დან წარუდგინონ ხოლმე შრომის სტატისტიკის რესპუბლიკანურ ბიუროს ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მიმდევნო თვის 10-ს რიცხვისა, პერსონალის რაოდენობისა და მისი სამუშაო ხელფასის აღნუსხვის ბარათი შრომის სტატისტიკის ამიერკავკასიის ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით (ფ. № 3).

3. დაევალოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს ნუსხა იმ დაწესებულებათა და საწარმოთა, რომელნიც: ა., აღნუსხულ უნდა იქნენ თანამშრომელთა რიცხვის მიუხედავად და ბ., აღნუსხულ უნდა იქნენ თანამშრომელთა განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით ამიერკავკასიის რესპუბლიკების სატახტო და სამაზრო ქალაქებში.

4. შრომის სტატისტიკის რესპუბლიკანური ბიურო მიღებული მასალის ჯუმლს წარუდგენს ხოლმე ყოველთვიურად შრომის სტატისტიკის ამიერკავკასიის ბიუროს არა უგვიანეს საანგარიშო თვის მიმდევნო თვის 20 რიცხვისა.

5. პირველ საანგარიშო თვედ ჩაითვალოს ამა წლის ოქტომბერი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახ. კომისართა საბჭ. მდივ. თანამდ. დროებ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 699 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 10-ს.

ცირკულიარი № 137 ამ. ფინანსთა სახ. კომ. და ამ. შრომის სახ. კომისარიატისა.

353

1924 წ. სექტემბრის 4.

242. იმ კომუნალურ დაწესებულებათა ტარიფიკაციის შესახებ სოციალური დაზღვევის სფეროში, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე არ იმყოფებიან.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. ივნისის 14-ს განმარტების გასაუქმებლად და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. იანვრის 9-ს თარიღისა და მე-3 (119) №-რის დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტის განსა ითარებლად—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავენ:

1. შეღავათიანი ტარიფი გავრცელდება კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა კუთვნილ შემდეგ საწარმოებზე, რომელნიც სამეურნეო ამგარიშზე არ იმყოფებიან:—ელექტრო სადგური, ტრამვაი, წყალსადენი, სასაკლაო, გაზის ქარხანა, აბანო, სასაფლაო, საასენიზაციო და საკანალიზაციო საწარმო.

შენიშვნა. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ კომუნალურ საწარმოდ ჩაითვლება ისეთი საწარმო, რომელიც შედის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტში თავისი სალდოთი და არა შემოსავალ-გასავლის ცალკე მუხლებით.

2. აღნიშნული შეღავათიანი ტარიფი გავრცელდება 1-ლ მუხ. მოხსენებულ საწარმოებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ უწყებული საწარმოს წინა წლის წმინდა მოგება ხუთი ათას მან. არ აღემატებოდა.

3. ცირკულიარი ესე ძალაში შედის 1924 წ. აგვისტოს 1-დან, თვინიერ ანგარიშების ხელახლა გასწორებისა წარსული დროისათვის.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გენკინი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე
და სოც. დაზღ. მთავ. სამმართვ. უფროსი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო
საორგანიზაციო განყ. გამგე **გოდაბრელიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 699 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 10-ს.

დადგენილება № 55 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 10.

243. ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებისა და სხვ. შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დაარსებული კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივნისის 25-ს დადგენილებით დაარსებულ კომისიას ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებისა და სხვ, შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და იმავე დადგენილებით გზებისა და ტრანსპორტის საგანგებო კომისიასთან დაარსებულ დროებითი კომისიას ლიკვიდაცია ექნეს.

დადგენილება ეს სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
მდივნის თანამდ. დრ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი,**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 701 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 12-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის სექტემბრის 22.

244. საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის შესახებ 1924 წლის აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული შემდეგი დადგენილება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

დადგენილება საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

356

საბინაო კოოპერაციის შესახებ.

რათა ბრძოლა გაეწიოს საბინაო კრიზისს, რისთვისაც უნდა განვითარდეს საბინაო აღმშენებლობა და ხელი შეეწყოს არსებული საცხოვრებელი სადგომების მეურნეობრივად გამოყენების საქმეს მშრომელთა ფართო მასსების თვითმოქმედების ნიადაგზე—ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეთ ნება ეძლევათ საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლად შეერთდნენ ხოლმე საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობად ამა დადგენილების ქვემო მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

2. საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა არის: ა) საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა; ბ) მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა; გ) საერთო-სამოქალაქო საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა.

ა. საბინაო-საიჯარო კოპერატიული ამხანაგობა

3. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა მოეწყობა იმ მიზნით, რათა გამოიყენოს მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები, რასაც მას ქირავნობით გადასცემენ ადგილობრივი მეურნეობის ორგანოები.

შენიშვნა. ადგილობრივი საგუბერნიო და საოლქო აღმასრ. კომიტეტი განსაზღვრავს: რომელ შემთხვევაში უნდა მიეცეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას სახლის მფლობელობა მთლიანად—ყველა სავაჭრო და სხვა არასაცხოვრებელი სადგომით—და რომელ შემთხვევაში უამისოდ.

4. საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე, რომელიც მუდმივად სცხოვრობს ამა თუ იმ სახლის მფლობე-

ლობის ფარგალში და რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება თანახმად სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციისა. უკეთუ მოქალაქე საარჩევნო უფლებას დაკარგავს ან ამ სახლში აღარ იცხოვრებს, იგი უნდა გამოვიდეს ამხანაგობის შედგენილობიდან.

5. იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელნიც საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას შეადგენენ, არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ სახლში მცხოვრებ საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამა დადგენილების მე-4 მუხლი) ნახევარზე ნაკლები და, ყოველ შემთხვევაში, ათზე ნაკლები არ უნდა იყოს, უკეთუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონით დაწესებული არ იქნება სხვა უფრო დიდი მინიმუმი.

6. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას აქვს იურიდიული პირის უფლება და უფლება ეძლევა: ა) აიღოს იჯარით მუნიციპალიზაციაქმნილი სახლის მფლობელობა, სადაც სცხოვრობენ ამხანაგობის წევრები, ვადით 12 წლამდე და ხელშეკრულების განახლების უპირატესი უფლებით; ბ) გამოიყენოს მთლად სახლის მფლობელობის საცხოვრებელი სივრცე, რისთვისაც მისცემს მას საცხოვრებლად თავის წევრებს იმ ნორმის მიხედვით, რაც განსაზღვრული იქნება მოკავშირე რესპუბლიკის კანონებით.

შენიშვნა. საცხოვრებელი სივრცის ის ნაწილი, რაც დარჩება ამ სივრცის ამხანაგობის წევრთა შორის განაწილების შემდეგ, და აგრეთვე არა საცხოვრებელი სივრცე შეიძლება მიეცეს ისეთ პირს, რომელსაც არ აქვს უფლება იყოს საბინაო ამხანაგობის წევრად.

გ) მოაწყოს ამხანაგობის წევრთათვის და მათი ოჯახის იმ წევრთათვის, რომელთაც ისინი არჩენენ, სასადილო, სამრეცხველო და სხვ.

7) საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წევრს უფლება აქვს იჯარის ვადის განმავლობაში მუდმივად იცხოვროს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების მიერ განსაზღვრულ სივრცეზე. აღნიშნული სივრცის რაოდენობა განისაზღვრება იმ ნორმების მიხედვით, რაც დამყარებულ იქნება მოკავშირე რესპუბლიკის მომქმედი კანონებით და ამ კანონების განსავითარებლად ადგილობრივი საგუბერნიო და საოლქო აღმასრ. კომიტეტების მიერ გამოცემული დადგენილებით.

8. საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის სახსარს შეადგენს: ა) ამხანაგობის წევრთა შესასვლელი გადასახადი და საპაიო შენატანი; ბ) ბინის ქირა და არასაცხოვრებელი სადგომების ქირა: გ) სათბობი მასალისათვის შეტანილი თანხა (იქ, სადაც ცენტრალური გათბობაა); დ) სხვა შემოსავალი.

9. შესასვლელი გადასახადისა და საპაიო შენატანის რაოდენობა განისაზღვრება საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წესდებით, ხოლო შესასვლელი გადასახადი არ შეიძლება იყოს ერთ მანეთზე მეტი და საპაიო შენატანი ოც მანეთზე მეტი. საპაიო თანხა შეიძლება შეტანილ იქნეს ნაწილ-ნაწილ ერთი წლის განმავლობაში, უკეთუ ადგილობრივი საგუბერნიო და საოლქო აღმასრ. კომიტეტის მიერ დაწესებული არ იქნება სხვა ვადა. ამხანაგობის შედგენილობიდან გამოსვლის დროს საპაიო შენატანი დაბრუნებულ უნდა იქნეს. ამხანაგობის წევრის საპაიო შენატანს არ შეიძლება მიექცეს მისი პირადი ვალდებულებისა და საგადასახადო ნარჩენის გადასახდელი.

10. როდესაც ამხანაგობის წევრს ერთ პაიზე მეტი აქვს—ეს არ ანიჭებს მას არავითარ უპირატესობას ამხანაგობის მართვა-გამგეობისა და საცხოვრებელი სივრცის სარგებლობის საქმეში.

11. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის პასუხისმგებლობა მისი ვალდებულებისათვის განისაზღვრება იმ ქონებით, რაც მას ეკუთვნის, როგორც იურიდიულ პირს. ამხანაგობის წესდებით შეიძლება დაწესებულ იქნეს წევრთა დამატებითი პასუხისმგებლობა ამხანაგობის ვალდებულებისათვის არა უმეტეს საპაიო შენატანის ხუთჯერ გამრავლებული რაოდენობისა.

12. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის ურთიერთობა ადგილობრივი მეურნეობის ორგანოებთან განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

ბ. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა.

13. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა მოეწყობა სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთაგან იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს თავის წევრთა საბინაო საჭიროება ახალ საცხოვრებელ შენობათა აგებით, დანგრეულის აღდგენით და დაუმთავრებელის დამთავრებით.

შენიშვნა 1. პროფესიონალურ პარტიულ და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთ აქვთ იგივე უფლება, რაც სახელმწიფო ორგანოთა მუშა-მოსამსახურეთ.

შენიშვნა 2. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს აგრეთვე უმუშევარი მუშა, ომის ინვალიდი, შრომის ინვალიდი სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მუშა-მოსამსახურეთაგან.

14. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის დამაარსებელ მოქალაქეთა რიცხვი არ შეიძლება ათზე ნაკლები იყოს, უკეთუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონებით დაწესებული არ იქნება სხვა უფრო დიდი ნორმა.

15. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას ეძლევა განსაკუთრებული შეღავათი, რაც გაწესაზღვრულ იქნება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით.

16. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრი, რომელიც დაჰკარგავს საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, უნდა გამოვიდეს ამხანაგობის შედგენილობიდან და თანაც დაჰკარგავს უფლებას იმ სადგომზე, რაც მას უჭირავს.

ამ წევრის მიერ პაისათვის შეტანილი თანხა დაბრუნებულ უნდა იქნეს იმ ნაწილის გამოკლებით, რაც საჭირო იქნება მის სარგებლობაში ქონებული სივრცის ამორტიზაციისათვის.

17. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრი არ დაჰკარგავს ამხანაგობის წევრობის უფლებას და არც უფლებას დაჭერილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგომზე იმ შემთხვევაში, უკეთუ უმუშევრობა ეწია ან უკეთუ ეს წევრი დაჰკარგავს შრომის უნარს ან და დაქირავებით გადავა სამუშაოზე სხვა საწარმოში.

18. როდესაც ამხანაგობის წევრი გარდაიცვლება, საცხოვრებელი სადგომის უფლება დარჩება მისი ოჯახის იმ წევრებს, რომელნიც მასთან ერთად სცხოვრობდნენ, უკეთუ ამ წევრებს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად აქვთ საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

19. იმ შენობის აღნაგობის უფლება, რაც მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას აუგია ან აღუდგენია, შეიძლება გადაცემულ იქნეს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობაზე.

ამხანაგობის ვალდებულების გამო კერძო პირი ვერ მიაქცევს გადასახდელს ვერც აღნიშნულ შენობას და ვერც აღნაგობის უფლებას, რაც ეკუთვნის მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას,

20. მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას არა აქვს უფლება მიაქირაოს საცხოვრებელი სადგომი ისეთ პირს, რომელიც ამხანაგობის წევრად არ ირიცხება.

21. მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობის სახსარს შეადგენს: ა) შესასვლელი გადასახადი და საპაიო შენატანი; ბ) ყოველთვიური შენატანი სახლის მფლობელობის შენახვისათვის; გ) არა საცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირა და დ) სხვა შემოსავალი.

22. მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრს უფლება აქვს მუდმივ (ამხანაგობის აღნაგობის უფლების არსებობის მთელი დროის განმავლობაში) გამოიყენოს სადგომი, რომლის სივრცეც განისაზღვრება მისი პაიების რაოდენობის მიხედვით, ხოლო ეს სივრცე არ უნდა აღემატებოდეს საგუბერნიო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებულ ნორმას.

23. მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრს შეუძლიან გააქირაოს ნაწილი მისთვის გადაცემული საცხოვრებელი სადგომისა მარტოოდენ ამხანაგობის გამგეობის ნებართვით.

24. მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრები მონაწილეობას იღებენ ამხანაგების საქმეთა მართვა-გამგეობაში თანასწორი უფლებით, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენ-რამდენი პაი აქვთ ამ წევრებს.

25. უკეთუ ესა თუ ის პირი გამოვა ამხანაგობის შედგენილობიდან, მას დაებრუნება პაისათვის შეტანილი თანხა იმ ნაწილის გამოკლებით, რაც საჭირო იქნება მის სარგებლობაში ქონებული საცხოვრებელი სადგომის ამორტიზაციისათვის.

26. მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის პასუხისმგებლობა თავისი ვალდებულებისათვის განისაზღვრება იმ ქონებით, რაც მას ეკუთვნის, როგორც იურიდიულ პირს.

ამხანაგობის წესდებით შეიძლება დაწესებულ იქნეს ამხანაგობის წევრთა დამატებითი პასუხისმგებლობა, ხოლო არა უმეტეს პაის ღირებულების ხუთჯერ გამრავლებული რაოდენობისა.

27. შენობა, როგორც ახლად აგებული, ისე აღდგენილი ან დამთავრებული, გადაცემა საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობას აღნაგობის უფლების ხელშეკრულებით მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო დადგენილების საფუძველზე.

გ. საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა.

28. ამა დადგენილებაში აღნიშნული მიზნით დაარსებული საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიული ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს: ა) ყველა მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შესრულებია და რომელსაც სასამართლოს წესით ჩამორთმეული არა აქვს სამოქალაქო ქონებრივი უფლება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული წესისამებრ; ბ) იურიდიულ პირს მისთვის მინიჭებული უფლების ფარგალში.

შენიშვნა. საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიული ამხანაგობის წევრთა რიცხვი არ შეიძლება ათზე ნაკლები იყოს, უკეთუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით დაწესებული არ იქნება სხვა უფრო დიდი ნორმა.

29. შენობა, როგორც ახლად აგებული, ისე აღდგენილი ან დამთავრებული, გადაცემა საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიულ ამხანაგობას აღნაგობის უფლების ხელშეკრულებით მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო დადგენილებათა თანახმად.

30. საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიულ ამხანაგობას უფლება აქვს გაასხვისოს და დაუგირაოს კერძო პირს აგებული შენობა ან აღნაგობის უფლება მის მიერ აღდგენილ ან დამთავრებულ შენობაზე.

ამხანაგობის ვალდებულობის გამო კერძო პირი ვერ მიაქცევს გადასახდელს ვერც აღნიშნულ შენობას და ვერც აღნაგობის უფლებას, რაც ეკუთვნის საერთო-სამოქალაქო სმბინაო-სააღშენებლო კოპერატიულ ამხანაგობას.

31 საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიული ამხანაგობის მიერ აგებული, აღდგენილი და დამთავრებული შენობის საცხოვრებელი სივრცის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება გაქირავებით მიეცეს არა ამხანაგობის წევრს, განისაზღვრება ადგილობრივი საგუბერნიო და საოლქო კომიტეტის დადგენილებით.

32. საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიული ამხანაგობის სახსარს შეადგენს: ა) შესასვლელი გადასახადი და საპაიო შენატანი; ბ) ამხანაგობის წევრთა ყოველთვიური შენატანი ამხანაგობის სახლის მფლობელობის შენახვისათვის; გ) არა საცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირა; დ) სხვა შემოსავალი.

შენიშვნა. ამხანაგობის წევრთა ყოველთვიური შენატანი სახლის მფლობელობის შენახვისათვის შეიძლება აღემატებოდეს საბინაო ქირას, რაც კანონით დაწესებულ იქნება სათანადო კატეგორიის მოქალაქეთათვის

33. ის, ვინც ამხანაგობის წევრი არ არის, და დაქირავებული-კი აქვს საცხოვრებელი სივრცე, შეიტანს საბინაო ქირას საერთო საფუძველზე და დაემორჩილება იმ წესებს, რაც მოკავშირე რესპუბლიკის კანონებით დამყარებულ იქნება საცხოვრებელი სადგომების ქირავნობის სფეროში.

34. საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიული ამხანაგობის წევრს, უფლება აქვს მუდმივ სარგებლობდეს საცხოვრებელ სადგომს, რომლის სივრცეც განისაზღვრება მისი პაების რიცხვის მიხედვით, ხოლო ეს სივრცე არ უნდა აღემატებოდეს იმ სივრცის რაოდენობას, რაც ამხანაგობის წევრსა და მის ოჯახს ერგება თანახმად სათანადო საგუბერნიო და საოლქო აღმასრ. კომიტეტის მიერ დაწესებული ნორმებისა.

ამა მუხლში აღნიშნული უფლება გადადის მემკვიდროებით საერთო წესისამებრ.

35. ამხანაგობის წევრი ვერ მიაქირავებს სადგომს ისეთ პირს, რომელიც ამხანაგობის წევრი არ არის, თვინიერ საბინაო ამგანაგობის გამგეობის ნებართვისა.

36. საბინაო ამხანაგობის წევრები მონაწილეობას იღებენ ამხანაგობის საქმეთა მართვა-გამგეობაში თანასწორი უფლებით, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენრამდენი პაი აქვთ ამ წევრებს.

37. უკეთუ ესა თუ ის პირი გამოვა ამხანაგობის შედგენილობიდან, მას დაებრუნება პაისათვის შეტანილი თანხა იმ ნაწილის გამოკლებით, რაც საჭირო იქნება მის სარგებლობაში ქონებული საცხოვრებელი სადგომის ამორტიზაციისათვის.

38. საერთო-სამოქალაქო საბინაო-სააღმშენებლო კოპერატიული ამხანაგობის პასუხისმგებლობა მისი ვალდებულებისათვის განისაზღვრება იმ ქონებით, რაც მას ეკუთვნის, როგორც იურიდიულ პირს.

ამხანაგობის წესდებით შეიძლება დაწესებულ იქნეს წევრთა დამატებითი პასუხისმგებლობა იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულ იქნება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.

დ. საბინაო-კოოპერატული ამხანაგობის წესდება და რეგისტრაცია.

39. საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის წესდება უნდა ეთანაბრებოდეს ნორმალურ წესდებათ, რაც დამტკიცებულ იქნება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

40. ყოველი საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის წესდებაში უნდა აღინიშნოს: ა) ამხანაგობის სახელწოდება; ბ) მისი მოქმედების რაიონი და გამგეობის სამყოფელი ადგილი; გ) ამხანაგობის მიზანი; დ) ამხანაგობის წევრთა საპაიო, შესასვლელი და ყოველთვიური შენატანის რაოდენობა; ე) ამხანაგობიდან გამოსვლისა და გამორიცხვის პირობები; ვ) წევრთა პასუხისმგებლობა ამხანაგობის ვალდებულებისათვის, უკეთუ ეს დაწესებულია; ზ) ანგარიშის შედგენისა და დამტკიცების წესი და პირობები; თ) მოგებისა და წაგების განაწილების წესი; ი) გამგეობის შედგენილობა, გამგეობის წევრთა არჩევის წესი და მათი უფლება მოსილობის ვადა; კ) სარევიზიო კომისიის შედგენილობა, მისი არჩევის წესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფლება-მოსილობის ვადა; ლ) საერთო კრების მოწვევის წესი და ვადა; მისი მოქმედების პირობები, გადაწყვეტილების გამოტანისა და ოქმების შედგენის წესი; მ) ამხანაგობის ლიკვიდაციის მიზეზი და წესი.

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს სხვა დადგენილებაც, რაც განსაზღვრავს ამხანაგობის ურთიერთობას წევრებთან და მესამე პირებთან.

41. იურიდიული პირის უფლება საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობას აქვს დღიდან მისი რეგისტრაციისა არსებული წესისამებრ. საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის წესდების რეგისტრაციის წესი და აგრეთვე წესები არსებულ საბინაო ამხანაგობათა გადასვლისა საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წესდებაზე განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ე. საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის მმართველი ორგანოები.

42. ყოველგვარი საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის მმართველი ორგანოებია: ამხანაგობის წევრთა საერთო კრება და საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობა. ყოველი საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობა აარჩევს აგრეთვე სარევიზიო კომისიას.

ვ. საბინაო კოოპერაციის კავშირი.

43. ყველა სახის საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა შეიძლება გაერთიანდნენ საბინაო კოოპერაციის ერთიან საქალაქო და საგუბერნიო (და მათ თანაბარ) კავშირებად. ეს უკანასკნელნი, სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის ნებართვით, შეიძლება გაერთიანდ ნენ საბინაო კოოპერაციის კავშირად მოკავშირე ესპუბლიკის მასშტაბით.

შენიშვნა. დიდ ქალაქში, გარდა საქალაქო კავშირისა, შეიძლება მოეწყოს საბინაო კოოპერაციის რაიონული კავშირები.

44. ყოველი საფეხურის კავშირის მმართველი ორგანოებია: კავშირის შედგენილობაში შემავალი ორგანიზაციების რწმუნებულთა კრება და რწმუნებულთა კრების მიერ არჩეული გამგეობა; საკონტროლო ორგანო არის სარევიზიო კომისია. უფლება ამა თუ იმ პირისა, რომ მონაწილეობა მიიღოს ყოველი საფეხურის კავშირის მმართველი და საკონტროლო ორგანოების არჩევნებში და თვით იქნეს არჩეული ამ ორგანოებში, აქვთ მარტოოდენ იმ რწმუნებულთ, რომელნიც აღჭურვილ არიან საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით.

45. ყოველი საფეხურის საბინაო კოოპერაციის კავშირს უფლება ეძლევა: ა) მოაწყოს დაბალი საფეხურის საბინაო-კოოპერატიული ორგანიზაციები და გაუწიოს მათ ინსტრუქტორობა; ბ) მოახდინოს ხოლმე იმ ორგანიზაციების რევიზია, რომელთაც კავშირი აერთიანებს და გამოიკვლიოს ხოლმე მათი მდგომარეობა; გ) მისცეს ხოლმე იურიდიული და სააღმშენებლო-ტეხნიკური კონსულტაცია კავშირში შემავალ ორგანიზაციებს; დ) ხელი შეუწყოს საბინაო კოოპერაციის განვითარებას კავშირის რაიონში პერიოდული და სხვა გამოცემების საქმის განხორციელებით და ყრილობებისა, თათბირებისა და სხვ. მოწვევით; ე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწარმოოს დამამზადებელი ოპერაციები, რათა მიაწოდოს თავის წევრებს სააღ-მშენებლო და სათბობი მასალა და სახლის მოწყობილობისა და სანიტარულ-ტეხნიკური ხასიათის საგნები და შეასრულოს ეს ოპერაციები უმთავრესად სხვა სახის კოოპერაციის მეშვეობათ; ვ) მოაწყოს დამხმარე საწარმონი სააღმშენებლო მასალის ამოსაღებად და დასამუშავებლად; ზ) დაეხმაროს თავის წევრებს კრედიტის მიღების საქმეში და შეძლებისდა გვარად მისცეს ხოლმე მათ კრედიტი თავისი ხარჯით; თ) მიიღოს თავის თავზე აგენტურა წევრთა შენობების დაზღვევის საქმეში.

46. საბინაო კოოპერაციის თვითეული კავშირის წესდებაში უნდა აღინიშნოს: ა) კავშირის სახელწოდება; ბ) მისი მოქმედების რაიონი და გამგეობის სამყოფელი ადგილი; გ) კავშირის მოწყობის მიზანი; დ) კავშირის წევრად შესვლისა და კავშირიდან გამოსვლისა და გამორიცხვის პირობები; ე) წევრთა პასუხისმგებლობა კავშირის ვალდებულებისათვის, უკეთუ ასეთი დაწესებულია; ვ) კაპიტალის შექმნის წესი და პირობები; ზ) პაისა და შესასვლელი გადასახადის რაოდენობა; თ) რევიზიისა და ანგარიშის დამტკიცების ვადა და წესი; ი) მოგებისა და წაგების განაწილების წესი; კ) გამგეობის შედგენილობა, გამგეობის წევრთა არჩევის წესი და მათი უფლებამოსილობის ვადა; ლ) სარევიზიო კომისიის შედგენილობა, მისი არჩევის წესი და მისი წევრების უფლებამოსილთბის ვადა; გ) რწმუნებულთა კრების მოწვევის წესი და ვადა, მისი მოქმედების პირობები და გადაწყვეტილების გამოტანისა და ოქმების შედგენის წესი; ნ) კავშირის ლიკვიდაციის პირობები და წესი.

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს სხვა დადგენილებაც, რაც განსაზღვრავს კავშირის ურთიერთობას წევრებთან და მესამე პირებთან.

47. წესდება საბინაო კოოპერაციის კავშირისა მოკავშირე რესპუბლიკის მასშტაბით დამტკიცებულ იქნება სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ი. კალინინი.**

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ი. რიკოვი.**

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. აგვისტოს 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 702 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 14-ს.

დადგენილება № 53 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 2.

245. საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის თაობაზე ა/კ. სახ. კომის. საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

1924 წლის იანვრის 17 თარიღით და 117 №-რით გამოცემული დადგენილების (ა.-კ—ის ს. ფ. ს. რ. კან. და განკ კრებ. 1924 წ., № 1, მუხ. 15) დასამატებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: „ის საბჭოთა მოქალაქე, რომელიც წარადგენს სახალხო მოსამართლის მოწმობას, რომ მას სახსარი არა აქვს საუცხოეთო პასპორტისა და ვიზისათვის სახელმწიფო გამოსაღები გადაიხადოს, განთავისუფლებულ უნდა იქნეს გამოსაღებისაგან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. ალმას. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 702 №-ში. 1924 წ. ოქტომბრის 14-ს

დადგენილება № 54 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 2.

246. სახელმწიფო და კოპერატიული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა სავაჭრო მოსამსახურეთათვის, მწარმოებლებთან შეთანხმებით, შრომის სასყიდლის მიცემის შესახებ საწარმოთა წმინდა მოგების ბრუნვის პროცენტული ანარიცხის სახით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო და კოოპერატიული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა სავაჭრო მოსამსახურეთ, მწარმოებელთან დადებულ ცალკე წერილებითი შეთანხმებით, შეუძლიანთ მიიღონ გასამრჯელო საწარმოს წმინდა მოგებისა ან ბრუნვის პროცენტული ანარიცხის სახით.

2. მოსამსახურეთა იმ კატეგორიების ნუსხას, რომლებზედაც გავრცელდება ეს დადგენილება, აგრეთვე საწარმოს წმინდა მოგებისა ან ბრუნვის ანარიცხის უკიდურეს რაოდენობას დაადგენენ სათანადო უწყებანი და კოოპერატიული ცენტრები, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-ვაჭრობისა და შრომის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრებ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 702 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 10.

247. სარეწავი გადასახადის სფეროში შელავათის გაწევის შესახებ ხელოსანთათვის და იმ სამრეწველო საწარმოთათვის, რომელთაც შეგირდები ჰყავთ.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრ. აღმ. კ-სა და სახ. კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 5 დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის ხელოსნები და შინა-მრეწველნი, რომელნიც მუშაობენ ორი მოზარდი შეგირდის დახმარებით, ტეხნიკური მამოძრავებლის მოუხმარებლად და ისეთი მოწყობილების უქონლად, რომლის გამოისობითაც ერთპიროვანი სამრეწველო მიეკუთვნება სამრეწველო საწარმოთა ჯგუფს,—დაიბეგვრება პირადი სარეწავი მოსაქმეობის პირველი კატეგორიის პატენტის მიხედვით.

2. ამა თუ იმ საწარმოს საპატენტო გამოსაღებით დაბეგვრისათვის მუშათა რიცხვის განსაზღვრის დროს ორი მოზარდი შეგირდი ჩაითვლება ერთ მუშად. ეს შელავათი გავრცელდება მარტოდენ ისეთ სამრეწველო საწარმოზე, რომლის მუშების საერთო რიცხვი 10 კაცს არ აღემატება და რომელიც მექანიკურ მამოძრავებელს ჰხმარობს და ისეთ საწარმოზე, რომლის მუშების საერთო რიცხვი 20 კაცს არ აღემატება, ხოლო მექანიკური მამოძრავებელი არა აქვს.

3. ამა დადგენილების შეფარდების დროს შეგირდებს უნდა მიეკუთვნონ ის

პირნი, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ და რომელნიც ერთ წელიწადზე მეტს არ მუშაობენ დღიდან შეგირდათ შესვლისა.

4. დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისთვის

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 703 №-ში 1924 წ. სექტემბრის 15-ს.

დადგენილება ა.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

1924 წ, სექტემბრის 10.

365

248. ს. ს. რ. კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მიღების დღის—ივლისის 6-ს—სადღესასწაულო დღედ აღიარების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ—ს. ს. რ. კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მიღების დღის-ივლისის 6-ს—სადღესასწაულო დღედ აღიარების შესახებ—ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილება შეიცვალოს შემდეგნაირად: ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მიღების დღის დღესასწაული გადახდილ იქნეს მთლად ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე ივლისის თვის პირველ კვირა-დღეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 703 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 15-ს.

დადგენილება ა|კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 10.

249. ასანთის აქციზის განაკვეთის შემცირების შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ასანთის აქციზის განაკვეთის შემცირების შესახებ—1924 წ. სექტემბრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აქციზი ასანთზე დაწესებულ იქნეს 0,6 კაპ. (ექვსი მეათედი კაპ.) რაოდენობით, 2/3 (ორი მესამედი) კაპ. ნაცვლად, თვითეულ კოლოფზე, რომელშიაც 75 წკირამდეა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წ. სექტემბრის 10-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 703 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 15-ს.

დადგენილება ა|კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

1924 წ. სექტემბრის 10.

250. ვ. ი. ულიანოვ-ლენინის გარდაცვალებია დღის – იანვრის 21-ს თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1924 წ. იანვრის 30-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. განმარტებულ იქნეს, რომ ვ. ი. ულიანოვ-ლენინის გარდაცვალების დღე (იანვრის 21), ს. ს. რ. კავშირის საბჭოების მე-II ყრილობის მიერ სამგლოვიარო დღედ გამოცხადებული,—სამუშაო დღეა.

2. იანვრის 22-ს უქმი-დღე, 1905 წლის იანვრის 22-ს (9-ს) აღსანიშნავად დაწესებული,—იმავე დროს დაწესებულია ვ. ი. ულიანოვი-ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 703 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 15-ს.

დადგენილება № 14 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. სექტემბრის 20.

251. საწყობებში საქონლის დაცვის ხარჯების შემცირების შესახებ.

რათა შემცირებულ იქნეს ხარჯები საქონლის საწყობებში შენახვისათვის, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

დაწესებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში შემდეგი განაკვეთი სახელმწიფო სატრანსპორტო ორგანიზაციების: მოხალისე ფლოტისა, სატრანსპორტო საზოგადოებისა, სახელმწიფო შავიზღვისა და აზოვის ზღვის ნაოსნობის სამმართველოს, სატრანსპორტო კონტორის (კავშირის) საწყობებში საქონლის შენახვისათვის.

კ ა რ ი ი.

1 ქალაქის საწყობები:

1-ლი ჯგუფი—10 კაპ. ფუთზე თვეში, მე-2 ჯგუფი—6 კაპ. ფუთზე თვეში, მე-3 ჯგუფი—4 კაპ. ფუთზე თვეში, მე-4 ჯგუფი—$3^1/_2$ კაპ. ფუთზე თვეში, მე-5 ჯგუფი—$3^1/_2$ კაპ. ფუთზე თვეში, მე-6 ჯგუფი—3 კაპ. ფუთზე თვეში, მე-7 ჯგუფი—$2^1/_2$ კაპ. ფუთზე თვეში, მე-8 ჯგუფი—ფქვილი, მარცვლეული—$1^1/_2$ კაპ., მარილი—1 კაპ. ფუთზე თვეში, მე-9 ჯგუფი—$^1/_2$ კაპ. ფუთზე თვეში, მე-10 ჯგუფი—$^1/_2$ კაპ.—ფუთზე თვეში.

საქონლის ნომენკლატურა ჯგუფობრივ აღნიშნულია მე-2 კარში.

2. საწყობები პორტის ტერიტორიაზე.

1-ლი ჯგუფი—15 კაპ. ფუთზე თვეში, მე-2 ჯგუფი—10 კაპ. ფუთზე თვეში, მე-3 ჯგუფი—5 კაპ. ფუთზე თვეში, მე—4 ჯგუფი—4 კაპ. ფუთზე თვეში, მე-5 ჯგუფი—$3^1/_2$ კაპ. ფუთზე თვეში, მე-6 ჯგუფი—3 კაპ. ფუთზე თვეში, მე-7

ჯგუფი—$2^1/_2$ კაპ. ფუთზე თვეში, მე-8 ჯგუფი—2, $1^1/_2$, 1 კაპ. ფუთზე თვეში, მე-9 ჯგუფი—$1^1/_2$ კაპ. ფუთზე თვეში, მე-10 ჯგუფი—ნახშირი—1 კაპ. ფუთზე თვეში.

საქონლის ნომენკლატურა ჯგუფობრივ აღნიშნულია მე-2 კარში.

შენიშვნა 1. იმ მანქანებისა და იარაღისათვის, რაც დახურულში უნდა ინახებოდეს, სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს კუბიკ. ფუტზე 2,5 კაპ. რაოდენობით თვეში.

შენიშვნა 2. დაზვინებული ტვირთისათვის—სასყიდელი ერთი კატეგორიით მეტი.

შენიშვნა 3. შენახვის სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ დროისათვის, რაც საქონელი საწყობში იქნება, ხოლო არა ნაკლებ, ვიდრე შვიდი დღისათვის.

კ ა რ ი 2.

3. **საქონლის ნომენკლატურა** (ჯგუფობრივ).

1-ლი ჯგუფი: განსაკუთრებული ფასის საქონელი და ფუფუნების საგნები. ბეწვეული, ბეწვიანი ტყავი, ნედლი-აბრეშუმი (პარკი) და ნაკეთობა, მატყლის ქსოვილი წმინდა, სანდალოზი, ძვირფასი გამოქნილი ტყავი და მისი ნაკეთობა, სახარინი, შოკოლადი, კაკაო, ბრინჯაოს ნაკეთობა, ახალი მებელი, გალოშები, სპირტი და მისი ნაკეთობა, საათი და მისი ხელსაწყო, კოსმეტიკა და პარფიუმერია, მედიკამენტები და სააფთიაქო საქონელი, ხალიჩები, ბროლი და ფაიფურის ნაკეთობა, საფოტოგრაფიო ხელსაწყო, ელექტრონის ლამპრები, გადარჩეული ჯაგარი, საკინემატოგრაფო ხელსაწყო.

მე-2 ჯგუფი: ტყავი, უცხოეთის ჩაი, საგალანტერიო საგნები, ბამბისა, სელისა და ჯუთის მატერია და ქსოვილი და ნაკეთობა, ტრიკოტაჟი, ნართი, ძაფი აბრეშუმისა და მატყლისა, საკონდიტრო საქონელი, ძვირფასი ხარისხის თევზეულობა ტარად (წითელი, ზუთხი, ორაგული), თამბაქო და მისი ნაკეთობა, საგასტრონომიო საქონელი, დაკლული ფრინველი და გარეული ფრინველი, ხორცეული საქონელი დაზვინებული, ქაშანური ბოჩკებში და ყუთებში, ეტლები, ნაწლევი სიმჟავე, საქირურგო იარაღი, საცობი, ალლიუმინის ნაკეთობა, პრობკის ხე, ქიმიური პროდუქტები, გარდა ქვემოდ აღნიშნულისა.

მე-3 ჯგუფი: ფრთა, ბუმბული, წნულის ნაკეთობა, ელექტრონის ხელსაწყო, კონსერვი, ტყავის ნაკეთობა, რაც ზევით არ არის აღნიშნული, მცენარეულობისა და მინერალური ზეთი ბოჩკებში, ციკორი, ჩაის და ყავის სუროგატები, სასარაჯო საქონელი და ნაკეთობა, გამოუქნელი ტყავი, წეკო, ბურნუთი, სანთელი, ასანთი, კვერცხი ყუთებში, ლინოლეუმი, მუშამბა, ღვინო ბოჩკებში, ბადაგი, კაკალი, მიწისა და ფიმფილოს ნაკეთობა, უბრალო მეტალისა და ძვლის საგალანტერიო ნაკეთობა, კოლონიალური და საღებავი საქონელი, კარტონისა და ქაღალდის ნაკეთობა, ქაღალდი ხვეულებად, საკანცელარიო საგნები.

მე-4 ჯგუფი: ბოსტნის თესლეულობა, საღებავები, გარდა ანილინისა, ცხვრის ტყავი გამხმარი, ბამბა დატკეცილი, უბრალო საპონი, ღვინო ყუთებში, ლუდი

ბოჩკებში, ქაღალდი ხვეულებად, ხის ნაკეთობა და ნაფოტეულის საქონელი, კაუსტიური სოდა, გამხმარი ხილი და ბოსტნეული, საოჯახო ნივთები, ჯაგარი, ძირტკბილა, ბეჭდვითი ნაწარმოებნი.

მე-5 ჯგუფი: შუშა ფურცლოვანი, ბაგირი, თოკი და მისი ნაკეთობა, მეტალის ყოველგვარი ნაკეთობა, რაც ზევით არ არის აღნიშნული, მსხვილი ტილო, ბრეზენტი, ტომარა, თექა, მატყლი, ალებასტრი, გიპსი, ცარცი, კოშტი სანთელი, თიხის ნაკეთობა, ქონი, ნედლი ბოსტნეული.

მე-6 ჯგუფი: წითელი ხიზილალა, თევზის საქონელი ტარად, რაც ზევით არ არის აღნიშნული, ჩაი ადგილობრივი, შაბიამანი, გოგირდი ტომრებში და ბოჭკებში, ლუდი და მინერალური წყალი ყუთებში, კოფტონი, ცემენტი ტომრებში, ფოლადი, ტყვია, ცინკი და სხვა მეტალი არა ნაკეთები, ფისი და კუპრი.

მე-7 ჯგუფი: ბრინჯეული ყოველგვარი, ცემენტი ტარად, შაქარი.

მე-8 ჯგუფი: ფქვილი, მარცვლეული, მარილი ხვავად და ტომრებში.

მე-9 ჯგუფი: ძონძეული, მადანი, ცაცხვის ძენძი და მისი ნაკეთობა, ჩლა, ქერელი.

მე-10 ჯგუფი: ნახშირი.

4. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებში უნდა დააწესონ განაკვეთები სახელმწიფო სატრანსპორტო ორგანიზაციების საწყობებში საქონლის შენახვისათვის, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელონ საქონლის ნომენკლატურა, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-2 კარში.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს
უფროსის მოადგილე **ნოვიკოვი.**
საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 705 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 17-ს.

დადგენილება № 32 ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

252. **ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისია თან საუწყებათაშორისო საინდექსო კომისიის მოწყობის შესახებ.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. რათა დამყარებულ იქნეს შეთანხმებული წესი ინდექსების გამოანგარიშებისა და გამოქვეყნებისათვის და ამ წესის ყველა საჭირო ცვლილების დამტ-

კიცებისათვის—მოეწყოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მუდმივი საუწყებათაშორისო კომისია.

2. კომისიის შედგენილობაში შევა გადამწყვეტი ხმის უფლებით ორი წარმომადგენელი სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და თითო წარმომადგენელი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ამიერკავ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი. კომისიის თავმჯდომარის დანიშვნა მიენდოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს.

შენიშვნა. სათათბირო ხმის უფლებით კომისიის სხდომებს შეუძლიან დაესწროს ყველა იმ ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც აწარმოებს სათანადო ინდექსების გამოანგარიშებას.

3. საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება სავალდებულოდ იქნეს ცნობილი ყველა იმ უწყებისათვის, რომელსაც დადგენილება შეეხება.

4. დაევალოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს დაამტკიცოს დაწვრილებითი ინსტრუქცია კომისიის მუშაობის წესის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 705 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 17-ს.

დადგენილება № 31 ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

253. მიწისა და სახლების რენტის აღნუსხვისა და ამ რენტის განაკვეთის შემუშავების კომისიების შესახებ.

საქალაქო და ტრანსპორტისთვის მიჩენილ მიწებზე რენტის გადახდევინებისა და დამფასებელი კომისიების დებულების („ზარია ვოსტოკა"-ს 652 №-რი 1924 წ. აგვისტოს 16-სა) მე-3 მუხ. შენიშვნის თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს.

დარსებულ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში:

1. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან დამფასებელი კომისიები იმ უფლებებით, რაც გათვალისწინებულია საქალაქო და ტრანსპორტისათვის მიჩენილ მიწებზედ რენტის გადახდევინების შესახებ გამოცემულ დეკრეტის საფუძველზე მოსაწყობ დამფასებელ კომისიათა დებულების მე-5 მუხლში; ხსენებული კომისიები მოეწყობიან აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დანიშნულ პირთა თავჯდომარეობით და შემდეგ უწყებათა წარმომადგენლების შედგენილობით: ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედობის სახალხო კომისარიატისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამართველოსი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მომხმარებელ საზოგადოებათა რესპუბლიკანური კავშირისა და საბირჟო კომიტეტისა (სადაც იგი არსებობს).

2. აფხაზეთისა, აჭარისა, ნახიჩევანის მხარისა და მთის ყარაბაღის სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან—რესპუბლიკანური და საოლქო დამფასებელი კომისიები, იმავე „დებულების“ მე-7 მუხ. გათვალისწინებული უფლებებით; ეს კომისიები მოეწყობიან აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს (სამხრეთ-ოსეთში—ცენტრ. აღმ. კომიტეტის) მიერ დანიშნულ პირთა თავჯდომარეობით და ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედობის სახალხო კომისარიატისა, ცენტრ. სტატისტიკური სამართველოს და აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების (სამხრეთ-ოსეთში—ცენტრ. აღმ. კ-ს) წარმომადგენელთა შედგენილობით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 705 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 17-ს.

დადგენილება № 56 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 2.

254. სამუშაო ხელფასისათვის საბუხჰალტრო ანგარიშგების დაწესების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დადგენილება:

ა) ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი—სამუშაო ხელფასისათვის საბუხჰალტრო ანგარიშგების დაწესების შესახებ—1924 წ. აპრილის 8-ს თარიღით—და

ბ) ს. ს. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება—ზემოაღნიშნული დადგენილების შეფარდების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 705 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 17-ს.

დადგენილება.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი—1924 წ. აპრილის 8 თარიღისა—სამუშაო ხელფასისათვის საბუხჰალტრო ანგარიშგების დაწესების შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს სწორი აღნუსხვა ყოველგვარი სამუშაო ხელფასისა და მისი დანარიცხისა, ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1924 წ. ივლისის 1-დან საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში, აგრეთვე შერეულ სააქციო საზოგადოებაში, სადაც უპირატესი მონაწილე სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალია,—სამუშაო ხელფასზე გაწეული ხარჯების აღნუსხვა და სათანადო ანგარიშების (ამა დადგენილების მე-2 მუხ.) წარდგენა შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფორმის თანახმად.

2. დაწესებულება და საწარმო წარუდგენს დადგენილი ფორმით თავის ანგარიშს ს. ს. რ. კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის სათანადო უწყებას—

კუთვნილებისამებრ. შერეული საზოგადოება წარუდგენს აღნიშნულ ანგარიშს იმ უწყებას, რომელსაც ეკუთვნის ყველაზე მეტი აქცია, ხოლო კოოპერატიული ორგანო—სათანადო ცენტრალურ კოოპერატიულ შენაერთს. უწყება და კოოპ. ცენტრი გააერთიანებს ყველა ანგარიშს და წარუდგენს ამ გაერთიანებულ ანგარიშს ს. ს. რ. კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატსა, ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს—კუთვნილებისამებრ.

3, ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს კვარტალობით, თვეებზე დანაწილებით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაევალება, დაინტერესებულ უწყებასთან ერთად, შეათანხმოს და უმეტნაკლნბჰყოს, საწარმოთა და დაწესებულებათა თავისებურობის მიხედვით, ანგარიშების წარდგენის ვადები და გადასინჯოს, საბუხჰალტრო ანგარიშგებასთან დაკავშირებით, სამუშაო ხელფვსისათვის არსებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

4. კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და მოკავშირე რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს დაევალება იქონიონ მტკიცე მეთვალყურეობა, რათა ამა დადგენილებით დამყარებული ანგარიშგების შემოღებისათვის წარმოებული მუშაობა შეასრულოს დაწესებულებისა და საწარმოს ნორმალურმა აპარატმა შტატის გაუდიდებლად.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **კამენევი**.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მართველი **გორბუნოვი**.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს მდივანი **ფოტიევა**.

მოსკოვი, კრემლი, 1924 წ. აპრილის 8.

383

დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭოსი.

ინსტრუქცია ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სამუშაო ხელფასისათვის საბუხჰალტრო ანგარიშგების დაწესების თაობაზე — 1924 წ. აპრილის 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდების შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სამუშაო ხელფასისათვის საბუხჰალტრო ანგარიშგების დაწესების თაობაზე—1924 წ. აპრილის 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განსავითარებლად—შრომისა და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1. სამუშაო ხელფასის აღსანუსხავად უნდა გაიხსნას მეორე რიგის ანგარიშები ნომენკლატურის ამასთანავე დართული ფორმების თანახმად; თანაც ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშები შეთანხმებულ უნდა იქნეს მთავარი დავთრის ანგარიშებთან და უნდა შეიცავდეს უწყებული თვის ყველა ხარჯს.

2. ანგარიშების წარმოების წესს განსაზღვრავს დაწესებულებისა ან საწარმოს მთავარი ბუხჰალტერი.

3. ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სამუშაო ხელფასისათვის საბუხჰალტრო ანგარიშგების დაწესების შესახებ გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრულ ვადაზე დაწესებულებისა ან საწარმოს მთავარი ბუხჰალტერი შეადგენს კვარტალურ (თვეებზე დანაწილებით) ანგარიშს ამასთანავე დართული „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“-ის ფორმების მიხედვით, რაც დაწესებულებისა თუ საწარმოს ხელმძღვანელის (გამგეობის თავმჯდომარე და სხვ. ამისთ.) და მთავარი ბუხჰალტერის ხელმოწერით, წარედგინება სათანადო უწყებას, თანახმად ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლისა.

4. „ა“, „ბ“ და „გ“-ის ფორმით შედგენილ ცნობათა ფურცელში ყველა თანხა ნაჩვენები უნდა იქნეს ცალკე, მუშა-მოსამსახურეთა რუბრიკებში. ტრანსპორტისათვის სამუშაო ხელფასის აღნუსხვა წარმოებულ უნდა იქნეს სამმართველოებისა და სამსახურის დარგის მიხედვით, თვინიერ „მუშათა“ და „მოსამსახურეთა“ რუბრიკებზე დაყოფისა იქ, სადაც ასეთი დაყოფა შეუძლებელ იქნება. „ბ“ და „გ“-ის ფორმით ცნობათა ფურცლის შედგენის დროს ის ხარჯები, რომელთა რუბრიკებზე დაყოფა შეუძლებელი იქნება, ნაჩვენები უნდა იყოს ჯამის სვეტში საერთო თანხად.

5. „ა“-ის ფორმის ანგარიშგებაში და „გ“ ფორმის 1-ლ მუხლში ნაჩვენები უნდა იყოს, როგორც ის თანხები, რაც გასაცემია თანახმად სასყიდლის ნუსხებისა ამ პერიოდისათვის, იმის მიუხედავად, თუ როდის იქნება ფაქტიურად სასყიდელი გაცემული, აგრეთვე ის თანხები, რაც ამ პერიოდში ფაქტიურად უკვე გაიცა, თუნდაც სხვა დროისათვის, ხოლო აღნიშნულ უნდა იქნეს, სახელდობრ რა დროისათვის იქნა ეს თანხა გაცემული. ამასთანავე ამა პერიოდის ხარჯების საერთო თანხიდან გამოკლებულ უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთაგან პროდუქტებისა და სხვა მომსახუროებისათვის შემოსული თანხები, რაც გათვალისწინებულია „ა“-ის ფორმის მე-4 მუხლში და „ბ“-ის ფორმის 1-ლ მუხლში.

6. ანგარიშის ჯამთა საერთო თანხები სრულიად უნდა ეთანაბრებოდეს საბუხჰალტრო დავთრებში აღნიშნულ სამუშაო ხელფასის ხარჯების ჯამთა ციფრებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში; და, ამიტომ, უკეთუ ზემოაღნიშნული ფორმების ნომენკლატურა სრულიად ვერ ამოსწურავს სათანადო ჯგუფის ფაქტიურად გაწეულ ხარჯების მუხლებს,—ეს ხარჯები დამატებით უნდა იქნეს ნაჩვენები.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ლ. კამენევი.**

საქმეთა მმართველის მაგიერ **ნ. გორბუნოვი.**

ფორმა „ა“

ა ნ გ ა რ ი შ ი.

მუშა-მოსამსახურეთათვის მიცემული სამუშაო ხელფასის ხარჯებისა 192 წ.

.....(საწარმოს ან დაწესებულების სახელწოდება) რომელიც იმყოფება.....(სახელ. ან ადგილ. ბიუჯეტზე, სამეურნეო ანგარიშზე) და ექვემდებარება.....

	მუშები.			მოსამსახ.			ჯ ა მ ი					შენიშვნა.
		თანხა. მანეთ.			თანხა მანეთ.			თანხა მანეთობ.				
								სართო თანხა		ამაში ფაქტ. მიეცა.		
	რ ი ცხ ვ ი.	ერგებოდა	ფაქტიურ. მიეცა.	რ ი ცხ ვ ი.	ერგებოდა	ფაქტიურ. მიეცა.	რ ი ცხ ვ ი.	ერგებ.	ფაქტ. მიეცა.	ხარჯ. ალრ. თანაბრ.	სხვა წყარო.	
1. სამუშაო ხელფასი ფულად. ა) დროებითი. ბ) ნაჭრობითი. გ) შერეული.												
2. ზედმეტი ნამუშევარი												
3. გაცდენილი დღეები.												
4. მასალისა და პროდუქტის მიცემა ხელფასის ანგარიშში ან მის დამატებად.												
5. სასყიდელი გაცდენილ დღეთათვის: ა) საზოგადოებრივი ან სახელმწიფო მოვალეობის აღსრულების გამო. ბ) სხვადასხვა ორგანოს დადგენილებით												
6. ხარჯი ტრამვაისა და რკინისგზის ბილეთის ფასისათვის, აგრეთვე წყალსავალი გზით და გზატკეცილი გზით მიმოსვლისათვის, წარვლინების გარდა.												
7. პრაქტიკანტების სასყიდელი.												
8. კომპენსაცია: ა) მორიგი და დამატებ. შვებულების გამოუყენებლობისათვის. ბ) დათხოვნისათვის.												
9. ტანტიემა.												
10. სხვადასხვა სახის ჯილდო. ა) პრემია ბ) ჯილდო გ) წელთა დამსახურებისათვის.												
11. ხარჯები სპეციალური ფონდისა: ა) სპეციალური განაკვეთის მიცემისათვის. ბ) სპეციალური ფონდით გათვალისწინებული სხვ. საჭიროებისათვის.												
12. სხვადასხვა სახის სამუშაო ხელფასი, რაც წინა მუხლებით არ არის გათვალისწინებული												
ჯ ა მ ი												

შრომისა და თავდაცვის საქმეთა მმართველის მაგიერ ნ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ი.

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. აგვისტოს 8.

ფორმა „ბ“.

ა ნ გ ა რ ი შ ი.

მუშა-მოსამსახურეთათვის სამუშაო ხელფასის ანგარიშში უშუალო მომსახურეობაზე გაწეული ხარჯებისა.

192 წ. ..... ის.

..... (საწარმოს ან დაწესებულების სახელწოდება), რომელიც იმყოფება ..... (სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე, ან სამეურნეო ანგარიშზე) და ექვემდებარება .....

	მუშები		მოსამსახ.		ჯამი		შენიშვნა.
	რიცხ.	თანხა	რიცხ.	თანხა	რიცხ.	თანხა	
1. ხარჯები ბინის მიცემისათვის:							
ა) გათბობა.							
ბ) განათება.							
გ) წყლის მიწოდება.							
დ) კანალიზაცია.							
ე) რემონტი.							
ვ) მომსახურეობა.							
ზ) ამორტიზაცია.							
2. სამუშაო ხელფასის ზედნართი ბინისათვის იმ მუშებს, რომელთაც ბინა არა აქვთ მიცემული.							
3. ხარჯი მუშებისათვის ბოსტნების მიჩენისა და მოხნისათვის.							
4. ხარჯი აბანოსა და სამრეცხველოსათვის							
5. ხარჯი:							
ა) სპეციალობის ტანისამოსის მიცემისათვის							
ბ) ქონეულობის მიცემისათვის							
გ) სანეიტრალიზაციო საშუალებათა მიცემისათვის.							
ჯ ა მ ი							

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. აგვისტოს 8

შრომისა და თავდაცვის საბ. საქმეთა მმართ. მაგიერ **ნ. გორბუნოვი.**

ფორმა „გ“.

ხარჯები, შრომის უნარის დაკარგვასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული.

192 წ. ..... ის.

..... (საწარმოს ან დაწესებულების სახელწოდება), რომელიც იმ-ყოფება ..... (სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე, ან სამეურნეო ანგარიშზე) და ექვემდებარება .....

	მუშები		მოსამსახ.		ჯამი		შენიშვნა.
	რიცხ.	თანხა	რიცხ.	თანხა	თანხ. ერგ.	რიც. ფაქ. მიეცა.	
1. გადასახადი ყოველგვარი სახის სოციალური დაზღვევისათვის.							
2. დამატებითი ხარჯი სამკურნალო დახმარებისათვის:							
ა) სამკურნალო დაწესებულებათათვის მიცემული უსასყიდლო სადგომის ფასი გათბობით, განათებით.							
ბ) დაწესებულებისა თუ საწარმოს მიერ გადახდა საექიმო პერსონალისათვის სასყიდლის იმ განსხვავებისა, რაც იქნება სრ. რუსეთის საექიმო-სასანიტარო მომუშავეთა კავშირის განაკვეთსა და საწარმოს განაკვეთ შორის, უკეთუ საექიმო პერსონალი ჯამაგირს სრ. რუსეთის საექიმო-სასანიტ. მომუშავეთა კავშირის განაკვეთით იღებს არა ამა დაწესებულებასა თუ საწარმოში; სხვა ხარჯი დაწესებულებისა თუ საწარმოსი საექიმო დახმარებისა თუ სხვ. რაიმე საგნისათვის, სოციალური დაზღვევის გადასახადის გარეშე;							
გ) გადახდა სასყიდლის განსხვავებისა, რაც იქნება ავადმყოფობის გამო მისაცემ დახმარებასა და სამსახურისათვის მისაცემ გასამრჯელოს შორის.							
3. სხვადასხვაგვარი დამატებითი დახმარება სატარიფო განაკვეთის გარეშე.							
4. ა) შენახვა დასვენების სახლისა ან საწოლისა დასვენების სახლში;							
ბ) შენახვა სანატორიისა ან იჯარით აღება ადგილებისა სანატორიაში.							
5. ავადმყოფთა გადაყვან-გადმოყვანა.							
ჯ ა მ ი							

შრომისა და თავდაცვის საბ. საქმეთა მმართ. მაგიერ **ნ. გორბუნოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. აგვისტოს 8.

ფორმა „დ“.

ა ნ გ ა რ ი შ ი.

მუშა-მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა მომსახურეობის დაწესებულებებზე გაწეული ხარჯებისა

192 წ. ..... ის.

.....(საწარმოს ან დაწესებულების სახელწოდება), რომელიც იმყოფება .....(სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე, ან სამეურნეო ანგარიშზე) და ექვემდებარება.....

	თანხა მანეთობით.	შენიშვნა.
1. კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და სოციალური აღზრდის საწარმოთა შენახვა და ამ მიზნით დახმარების მიცემა: ა) ანარიცხი მათი შენახვისათვის, ბ) ხარჯი სადგომის მიცემისათვის—გათბობით, განათებით და რემონტით.		
2. საფაბრიკო-საქარხნო შეგირდთა და პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების სკოლათა შენახვა: ა) სკოლის შენახვისათვის გაწეული ხარჯების გადახდა და ახალი მოწყობილობის შეძენა; ბ) ხარჯი სადგომის მიცემისათვის—გათბობით, განათებით და რემონტით.		
3. ხარჯი, სტიპენდიატებზე და მუშათა ფაკულტეტებზე მყოფთათვის გაწეული.		
4. ანარიცხი კულტურული მუშაობისათვის.		
5. საქარხნო კომიტეტების (ადგილობრივი კომიტეტების) შენახვა: ა) ანარიცხი მათი შენახვისათვის. ბ) ხარჯი ანარიცხის გარეშე: ბინები—გათბობით, განათებით და რემონტით; ხარჯი საკანცელარიო საგნებზე; მუშაობისაგან განთავისუფლებულ საფაბრიკო კომიტეტის წევრებისათვის სასყიდლის მიცემა; საფაბრიკო კომიტეტის სამიმოსვლო საშუალებაზე გაწეული და სამგზავრო ხარჯი და სხვ.		
6. ნატურით მისაცემ საგნების გამნაწილებელთა შენახვა.		
7. მუშათა კოოპერაციისათვის ხელისშეწყობაზე გაწეული ხარჯი.		
8 ანარიცხი საურთიერთო დახმარების სალაროებისათვის.		
9. შრომის დაცვის ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი		
ჯ ა მ ი		

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. აგვისტოს 8.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ **ნ. გორბუნოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 707 №-ში 1924 ოქტომბრის 19-ს.

დადგენილება № 12 საგჯ. სოც. რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კ. სოც. ფედ. საგჯ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი.

1924 წლის ოქტომბრის 14.

255. უცხოეთის რეგისტრაციაქმნილი ფირმების შესახებ.

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ 1924 წლის მაისის 29-ს თარიღითა და 21 №-ით („ზარია ვოსტოკა"-ს 594 №-ი 1924 წ. ივნისის 5-სა) და 1924 წ. ივლისის 22-ს თარიღითა და 24 №-ით („ზარია ვოსტოკა"-ს 663 № რი 1924 წ. ივლისის 20 სა) გამოცემულ დადგენილებათა დასამატებლად ვაცხადებთ:

1. ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საკონცესიო კომიტეტის 1924 წლის სექტემბრის 11-ს დადგენილების თანახმად უცხოეთის ფირმები: 1. იტალიის სამრეწველო საზოგადოებათა საგარეო ვაჭრობის კომპანია „ჩიჩე", 2. სააქციო საზოგადოება „გერმესი" და 3. შვეიცის სააქციო საზოგადოება „ატლას დიზელ"-ი გატარებულ არიან რეგისტრაციაში დღიდან მთავარი საკონცესიო კომიტეტის დადგენილებისა, რათა აწარმოონ მოლაპარაკება სახელმწიფო ორგანოებთან ამიერკავკასიის ფარგლებში და დასდონ მათთან წინასწარი ხელშეკრულებანი, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს ამ ხელშეკრულებათა დამტკიცების შესახებ არსებული საერთო წესები.

2. მთავარი საკონცესიო კომიტეტის 1924 წ. სექტემბრის 18-ს დადგენილების თანახმად უცხოეთის ფირმები: 1. საექსპორტო-საიმპორტო საზოგადოება „რიჰარდი და კომპ.", 2. აღმოსავლეთის სავაჭრო საზოგადოება „პილ და ფელინგი", 3. კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოება, 4. კონტინენტალური საბანკო და სავაჭრო სააქციო საზოგადოება („პიუჟენი და კომპ.") და 5. სავაჭრო სახლი ძმ. ფრანკებისა და კომპ. გატარებულ არიან რეგისტრაციაში ორი თვის ვადით დღიდან მთავარი საკონცესიო კომიტეტის დადგენილებისა, რათა აღნიშნული ვადის განმავლობაში აწარმოონ მოლაპარაკება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან (ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო) და დასდონ კონკრეტული ხელშეკრულებანი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად.

3. ამა ბრძანების 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული უცხოეთის ფირმები ვალდებულ არიან დაუყოვნებლივ აცნობონ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ყველა ცვლილება, რაც კი მოხდა დღიდან რეგისტრაციის შესახებ განცხადების (ანკეტის) შეტანისა რეგისტრაციის შესახებ (მისამართისა და ადგილობრივი წარმომადგენლობის მმართველის შეცვლა, კაპიტალისა და ფირმის იურიდიული მდგომარეობის ცვლილება უცხოეთში და სხვ.).

4. მთავარი საკონცესიო კომიტეტის 1924 წლის სექტემბრის 18-ს დადგენილების თანახმად უცხოეთის ფირმებს: 1. კავკასიის საქონლის გაცვლა გამო-

ცვლის სამმართველოს, 2. შავი ზღვის გერმანულ კომპანიას „ზელგორსტსა და შრედერ“-ს, 3. ღვინის წარმოებისა და გასაღების კავკასიის საზოგადოებას, 4. შვეიცის სააქციო საზოგადოებას „ბალტიკ“-ს, 5. სააქციო საზოგადოებას „ფილმას“, 6. სინდიკატო-ორიენტალე-დი-კომერჩიოს (სინკოლიტ), 7. ალბერტ კაცანიგას, 8. ნაოსნობისა და ვაჭრობის შავი ზღვის სააქციო საზოგადოებას, 9. ამხანაგობა „ტრესტერ და კომპანია“-ს, 10. „ჟენერალ კომერსიელ კომპანი“-ს, 11. რუსეთ-კავკასიის კომპანიას ლონდონში, 12. სავაჭრო სახლს „მატიევიჩ და კომპანია“-ს და 13. „მანუფაქტურ-ექსპორტ კორპორეიშენ“-ს — რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ და ამიტომ ერთი კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს აღნიშნული ფირმების წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია.

5. ყველა დანარჩენი, არსებული წესით (მთავარი საკონცესიო კომიტეტი) უცხოეთის არარეგისტრაციაქმნილი ფირმისათვის ძალაში დარჩება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ამ ფირმათა ლიკვიდაციის შესახებ 1924 წლის მაისის 29-ს თარიღით გამოცემული დადგენილება.

6. უცხოეთის არარეგისტრაციაქმნილი ფირმა და აგრეთვე კერძო პირი და დაწესებულება, რომელსაც ამ ფირმასთან მოლაპარაკება ექნება სავაჭრო ან სხვა ოპერაციის შესახებ, მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დარღვევისათვის.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
რწმუნებულის მოადგილე **გაჯინსკი.**
საქმეთა მმართველი **გორჩაკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 706 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 18-ს.

ცირკულიარი № 142 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატებისადმი.

1924 წლის ოქტომბრის 20.

256. შრომის ბირჟის აღნუსხვიდან მოხსნილ ქალთა სამუშაოზე დადგომის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი იღებს მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი ყურადღებით მოვეპყრათ მარტოხელა პროლეტარ-ქალებს, რომელთაც, სათანადო კვალიფიკაციისა და სტაჟის უქონლობის გამო, ვხსნით ხოლმე შრომის ბირჟის აღნუსხვიდან და მით უკიდურეს გასაჭირში ვაგდებთ და, შრომის ბირჟათა გაწმენდის განხორციელების შესახებ 1924 წ. აგვისტოს 20-ს თარიღითა და 131 №-ით გამოცემული ცირკულიარის დასამატებლად, აუცილებლად სცნობს ყველა პროლეტარ ქალს,

მაგ.: მარტოხელა გასათხოვარ ქალს, გათხოვილ ქალს, ქვრივსა დ განქორწინებულს, უკეთუ დაქირავებით შრომა მათი არსებობის ერთად-ერთი წყაროა, მიეცეს უფლება, რათა მიიღოს სამუშაო, მიუხედავათ სტაჟისა და კვალიფიკაციისა, შემდგომი რეგისტრაციის წესით, ისე რომ არ ითვლებოდეს შრომის ბირჟის აღნუსხვაზე. ამასთანავე სამუშაოს ასეთი ქალი მოძებნის დამოუკიდებლად და დაქირავების გარიგება შრომის ბირჟამ უნდა ჩამოაყალიბოს დაუბრკოლებლივ, მიუხედავად იმისა, ეყოლება მას აღნუსხვაზე სათანადო კვალიფიკაციის უმუშევარი თუ არა.

აღნიშნული ღონისძიება უსათუოდ შეამსუბუქებს ამ ქალთა მდგომარეობას და საშუალებას მისცემს მათ, მიუხედავად შრომის ბირჟის აღნუსხვიდან მოხსნისა, იშოვონ სამუშაო. ხოლო საჭიროა, რომ თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და დაწვრილებით გამორკვეულ იქნეს უმუშევრის ქონებრივი და მატერიალური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულის განხორციელების შესახებ, რადგანაც საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია, გთხოვთ გვაცნობოთ უახლოეს ანგარიშში.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი.**

შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 708 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 21-ს.

დადგენილება № 57 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის ოქტომბრის 18.

257. ამიერკავკასიის რკინის გზათა გამგეობისა და სამმართველოს შტატების შემცირების შესახებ.

ამიერკავკასიის რკინის გზათა გამგეობისა და სამმართველოს შტატების შემცირებისათვის ს. ს. რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებულ ღონისძიებათა (ბრძანება ა. წ. სექტემბრის 30-სა № 1951) ხმარების გამო, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) დაარსებულ იქნეს სპეციალური კომისია, რომელშიაც შევლენ ამხ. ჩხეიძე (თავმჯდომარედ), ლევაშოვი, ქავთარაძე, აბრამოვი, ბერიძე და გზათა პროფკავშირის წარმომადგენელი.

2) აღნიშნული კომისია განიხილავს ყველა საჭირო ღონისძიებას შტატე-

ბის შემცირების საქმეში და მიიღებს ხოლმე დადგენილებას, რომელიც საბოლოო იქნება და არ განისაჩივრება.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 708 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 21-ს.

დადგენილება № 132 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

394

1924 წ. ოქტომბრის 18

258. სახელმწიფო, საზოგადოებრივ დი კერძო დაწესებულებათა და სავაჭრო საწარმოთა მოსამსახურების რიცხვისა და სამუშაო ხელფასის მიმდინარე აღნუსხვის მოწყობის შესახებ.

სახელმწიფო, კოოპერატიულ, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და სავაჭრო საწარმოთა პერსონალის და მის მიერ მინაღები სამუშაო ხელფასის აღნუსხვის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. სექტემბრის 19-ს თარიღითა და 52 №-რით გამოცემული („ზარია ვოსტოკა"-ს 699 №-რი ოქტომბრის 10-სა) დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

I. 1924 წ. ოქტომბრის 1 დან დაწყებული ყველა, შემდეგ მუხლში აღნიშნული, დაწესებულება და საწარმო მოვალეა წარუდგინოს ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10-ს რიცხვისა, შრომის სტატისტიკის რესპუბლიკანურ ბიუროს ცნობები „დაწესებულებებში შრომის აღნუსხვის მე-3 №-რის საანგარიშო ბარათის" ფორმით.

შენიშვნა. აღნიშნული ბარათის ბლანკებს ანგარიშვალდებული დაწესებულება მიიღებს ტფილისში, ბაქოში და ერევანში შრომის სტატისტიკის რესპუბლიკანურ ბიუროსაგან, ხოლო სხვა ადგილებში—შრომის ინსპექტორისაგან.

II. მე-3 №-რის ბარათის ანგარიშგება სავალდებულოა შემდეგი დაწესებულებისა და საწარმოსათვის.

ა. მიუხედავათ მუდმივი თანამშრომლების რიცხვისა.

1. სახალხო კომისარიატი და მისი დამოუკიდებელი ნაწილი.

2. ქალაქისა და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

3. რკინის გზებისა, წყალსავალი და ადგილობრივი გზების სამმართველო, სახელმწიფო ნაოსნობის სამმართველო, პორტების სამმართველო, სარაიონო კომიტეტი, გადაზიდვის ბიურო და საზღვაო ზედამხედველობის ბიურო.

4. საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო, სამაზრო ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა, ტელეფონის სადგური.

5. სამეცნიერო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი, ტეხნიკუმი, მე-2 საფეხურის სკოლა, შვიდწლიანი და ცხრაწლიანი სკოლა, პროფესიონალური კავშირის სკოლა, გაზეთი და გამომცემლობა.

6. უმაღლესი სასამართლო, საოლქო სასამართლო, სახალხო სასამართლო, საპატიმრო, ოლქის პროკურორის კამერა, სანოტარო კონტორა.

7. მილიცია, სისხლის სამართლის მაძიებელი დაწესებულება, ცეცხლის მქრობელი რაზმი.

8. ქალაქის რკინისგზის სამართველო (ელექტროსადგურის გარდა).

9. სახელმწიფო ბანკი, მისი ადგილობრივი განყოფილება და კონტორა; კომუნალური სააქციონერო ბანკი და საურთიერთო კრედიტის საზოგადოება; ლომბარდი, სასაქონლო და საფონდო ბირჟა; საბაჟო, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო და მისი ადგილობრივი კონტორა.

ბ. უკეთუ 10 თანამშრომელზე ნაკლები არა ჰყავს — ქ. ქ. ტფილისში, ბაქოში და ერევანში და 5 თანამშრ. არა-ნაკლები — ამიერკავკასის ფედერაციის ყველა დანარჩენ ქალაქში.

1. 1-ლი საფეხურის სკოლა, პროფესიონალური სკოლა, მოზარდთა სკოლა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, პოლიტიკური ცოდნის სკოლა, საბჭოთა პარტიული სკოლა, კომუნისტური უნივერსიტეტი, საბავშო სახლი, საბავშვო ბაღი, კოლონია; უპატრონო და დეფექტიანი ბავშვების მიმღები და სამეთვალყურო-გამნაწილებელი პუნქტი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კლუბი, თეატრი, კინემატოგრაფი.

2. დამზღვევი კასსა, თავშესაფარი, საინვალიდო სახლი, ინვალიდთა ტეხნიკუმი.

3. სამკურნალო, ამბულატორია, სანატორიუმი, აფთიაქი, ლაბარატორია, სასანიტარო სადგური და დისპანსერი.

4. სინდიკატის სამმართველო, სატრესტო კომბინატი, საააქციო საზოგადოების სამმართველო, კოოპერატიული შენაერთის სამმართველო.

5. სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო მაღაზია და საწყობი.

6. ცენტრალური სამმრთველო, პროფ. კავშირის სამაზ. განყ. და საკავშირთაშორისო შენაერთი.

7. ყველა სხვა დაწესებულება და სავაჭრო საწარმო.

III. 1) სხვა ადგილებში, რაც ზევით აღხიშნული არ არის, მე-3 №-რის

ბარათის წარდგენა სავალდებულოა მხოლოდ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათათვის.

2. პირველ საანგარიშო თვედ ჩაითვალოს მიმდინარე წლის ოქტომბერი, რომლისთვისაც ბარათი წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ნოემბრის 10-სა.

3. რათა აღნუსხვის სისრულეს მეთვალყურეობა და კონტროლი გაეწიოს, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატებს წინადადება ეძლევათ ორი კვირის ვადაზე შეადგინონ ყველა სააღნუსხვო ერთეულთა ძირითადი სიები.

ამიერკავკასიის შრომის სახ.

კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი.**

შრომის სტატისტიკის ამიერკავკასიის

ბიუროს გამგე **ი. კრუგლიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 708 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 21-ს.

დადგენილება № 138 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ოქტომბრის 20.

259. საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე აღძრულ შრომის კონფლიქტების გადაწყვეტის წესის შესახებ.

რადგანაც გაძნელებულია სოფელ-ადგილას ჩვეულებრივი ტიპის მომრიგებელ-საკონფლიქტო ორგანოების მოწყობა, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, შრომის კანონთა კოდექსის მე-16 თავის თანახმად, ადგენს:

1. საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე აღძრული ყველა კონფლიქტისა და დავის გადასაწყვეტად მუშას და მოსამსახურეს შეუძლიან, თავისი სურვილისამებრ, მიმართოს სახალხო სასამართლოს ან,—უკეთუ ორივე მხარე თანახმა იქნება დავა მორიგების წესით იქნეს გადაწყვეტილი,—სავოლოსტო აღმასრულებელ კომიტეტთან მოსაწყობ მომრიგებელ კომისიას.

2. მომრიგებელი კომისია მოეწყობა მხარეთა შეთანხმებით პარიტეტულ პრინციპზე დამქირავებლისა ან მისი რწმუნებულის და მიწისა და ტყის მომუშავეთა კავშირის წარმომადგენლისაგან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით.

3. მომრიგებელი კომისია გადასწყვეტს დავას და კონფლიქტს მარტოოდენ ორივე მხარის ურთიერთან შეთანხმებისამებრ.

4. მომრიგებელი კომისიის გადაწყვეტილებას, ორივე მხარის ურთიერთთან შეთანხმებით მიღებულს, მათ მიერ ხელის მოწერის შემდეგ, ეძლევა სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა ⁄ აღსრულებაში მოიყვანება იძულებითი წესით.

5. უკეთუ მომრიგებელ კომისიაში შეთანხმება მიღწეულ არ იქნება ან ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ქონფლიქტის კომისიაში განხილვაზე, დავა შეიძლება გადატანილ იქნეს სათანადო სახალხო სასამართლოში.

6. ამა დადგენილების შეფარდებისათვის რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს, მიწათმოქმედებისა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმების შემდეგ, სათანადო ინსტრუქციები.

ამერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგის მაგიერ **თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 712 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 25-ს.

დადგენილება № 134 ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარიატისა.

1924 წ. ოქტომბრის 21.

398

260. იმ თანამდებობათა სიის გაფართოების შესახებ, რომლებზედაც დანიშვნა მოხდება შემდგომი რეგისტრაციის წესით შრომის ბირჟაზე.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. მარტის 13-ს თარიღითა და 39 №-რით გამოცემული დადგენილებისა (ა/კ. შ. ს. კ. „იზვესტია“, № 3—4, 1923 წ.) და 1924 წ. აპრილის 5-ს თარიღითა და 90 №-რით გამოცემული (ა/კ. შ. ს. კ. „იზვესტია“, № 8, 1924 წ.) დადგენილების დასამატებლად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. უფლება მიეცეს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებას, საწარმოს და მეურნეობას დაიქირაოს ხოლმე კვალიფიციური მოსამსახურე შრომის ბირჟის გარეშე, ხოლო შემდგომი სავალდებულო რეგისტრაციით, ყველა თანამდებობისათვის, გარდა ქვემოდ აღნიშნულ თანამდებობათა, რომლებზედაც დანიშვნა, ვიდრე დაქირავების საშუალავლო ბიუროები მოეწყობოდეს, მოხდება ჩვეულებრივის წესისამებრ შრომის ბირჟის მეშვეობით: საქმისმწარმოებელი მე-2 ხარისხისა, არქივარიუსი მე-2 ხარისხისა, რეგისტრატორი-ჟურნალისტი, გადამწერი, მანქანით გადამწერი მე-2 ხარისხისა, როტატორი და მეშაპიროგრაფე, ეკზეკუტორი, ტელეფონისტი, მეტაბელე, მთვლელი და მოანგარიშე მე-2 ხარისხისა, მეკონტორე, ამწონი, საქონლის ჩამწყობი, საწყობის ბიჭი, კურიერი, დამლაგებელი-ქალი და მეკარე.

2. მოსამსახურის დაქირავება შრომის ბირჟაზე შემდგომი რეგისტრაციით სწარმოებს იმ წესით, რაც აღნიშნულია ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. მარტის 13-ს თარიღისა და 39 №-რის დადგენილებასთან დართულ შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირის ცენტრალური საბჭოს 1923 წ. თებერვლის 19-ს დადგენილების „რეგისტრაციის წესი"-ს კარში და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციაში—იმ პირთა შემდგომი რეგისტრაციის წესისა და ვადის შესახებ, რომლებზედაც ვრცელდება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული დადგენილებების მოქმედება, რა ინსტრუქციაც დამატებით იქნება გამოცემული.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო

კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი.**

შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 713 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 26-ს.

დადგენილება № 16 ა.კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ოქტომბრის 20.

261. საფეიქრო ნაკეთობისათვის ზედნართი ფასის დაწესების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამა წლის მაისის 16-ს თარიღისა და მე-4 №-რის და სექტემბრის 16-ს თარიღისა და მე-12 №-რის დადგენილებათა გასაუქმებლად – შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. საფეიქრო ნაკეთობის ბითუმი გაყიდვა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოსა და კოოპერატიული შენაერთის ტფილისისა და ბაქოს საწყობებიდან, რომელნიც ფართლეულობას ბითუმად გასცემენ ხოლმე, უნდა სწარმოებდეს სათანადო ტრესტების ამა წლის აგვისტოს 9-ს პრეისკურანტების ფასებზე შემდეგი რაოდენობის დანამატით:

	დანამატი სახელმ. ორგ. და კოოპერაციისათვის.	დანამატი კერძო პირთ.
1. ბამბის ნაკეთობა	7,75%	9,25%
2. მაუდისა და მატყლის მსხვილი ნაკეთ.	4,5%	6,5%
3. საკამვოლო ნაკეთობა	3%	5%
4. სელის ნაკეთობა	4%	6%

§ 2. ბითუმი გაყიდვა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიული შენაერთის პროვინციალური განყოფილებისა, კონტორისა და სააგენტოს

საწყობიდან, რომელნიც ფართლეულობას ბითუმად გასცემენ ხოლმე, უნდა სწარმოებდეს 1 პროც. ზედნართით იმ დანამატზე, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლშია განსაზღვრული.

§ 3. სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის ტფილისისა და ბაქოს განყოფილებამ და ყველა მათმა სააგენტომ, აგრეთვე ყველა სახელმწიფო ორგანომ და კოოპერატიულმა შენაერთმა, რომელთაც ამა წლის სექტემბრის 1-დან დაწყებულ პერიოდის განმავლობაში ფართლეულობა ბითუმად გაუციათ იმ ზედნართი ფასით, რაც ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მე-12 № რის დადგენილებით იყო დაწესებული ტრესტების ამა წლის აგვისტოს 9 ს პრეისკურანტების ფასებისათვის,—ორის კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, უნდა მოახდინონ ურთიერთშორის ხელახლად ანგარიშის სათანაბრო გასწორება.

§ 4. ცალობითი გაყიდვა სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების საგასაცემო ადგილებიდან და დუქნებიდან მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე უნდა სწარმოებდეს იმ ფასებით, რაც აღრიცხულია ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 პარაგრაფების თანახმად, შემდეგი უკიდურესი ზედნართით.

საფეიქრო ნაკეთობის სახელწოდება ჯგუფობრივ	ქალაქებში და რკ. ჯზ. გასწვრივ მდებარე ადგილ.	იმ ადგილებში, რომლ. დაშორ. რკ. გზ. 25 ვერს.	იმ ადგილებში, რომლ. დაშორ. რკ. გზ. 50 ვერს.	იმ ადგ., რომლ. დაშ. რკ. გზ. 50 ვერ. მეტი მანძ.
ბამბის ნაკეთობა.	10%	11%	12%	13%
მაუდ. და მატყლ. მსხვ. ნაკეთობა.	12%	13%	14%	15%
საკამვ. ნაკეთობა.	12%	13%	14%	15%
ულის ნაკეთობა.	12%	13%	14%	15%

§ 5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კ. ს. ფ. ს. რ. შემავალ რესპუბლიკებში და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე**.

ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის
მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი**.

საქმეთა მმართველი **ეირანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 714 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 28-ს.

დადგენილება № 33 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 18.

262. კერძო ფაბრიკებში თამბაქოს წლიურად გადამუშავებისათვის სავალდებულო მინიმუმის დაწესების შესახებ.

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ის თამბაქოს ფაბრიკა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე (წეკოს ფაბრიკის გამოკლებით), რომელიც ეკუთვნის კერძო ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან მათ მიერ იჯარით არის აღებული, მოვალეა ნახევარ წლის განმავლობაში გადაანუშაოს მოსაწევ თამბაქოდ და პაპიროსად ფოთოლ-თამბაქო არა ნაკლებ 5.000 კილოგრამისა. ის ფაბრიკა, რომელიც არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, უნდა დაიხუროს და შეიძლება გაიხსნას შემდეგ ნახევარ წელიწადში, უკეთუ სრულიად შეიტანს აქციზს წინა ნახევარ-წელში გადაუმუშავებელი ფოთოლ-თამბაქოს რაოდენობისათვის აქციზის განაკვეთის შემდეგი ანგარიშით: ერთ გირვანქა თამბაქოზე—1 მან. და 70 კაპ., ან ერთ კილოგრამ თამბაქოზე—4 მან. და 15 კაპ.

2. წესებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის დაადგენს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

3. ვადა ამა დადგენილების ძალაში შესვლისათვის განსაზღვრულ და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ იმ გაზეთებში, რაც აღნიშნულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მაისის 7-ს დადგენილებაში (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკ. კრებ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 98).

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 714 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 28-ს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პრ., № 91.

მთავარლიტი № 441. შეკ. № 4830/757 ტირაჟი 500